# ცისკარი.

## 1870

### აპრილი

წელიწადი მეთოთხმეტე.

---

წოდება თხზულებათა:

I. სამცხე—საათაბაგო. (მოგზაურობითგან) ი. კერესელიძისა.

II. საიდუმლო წიგნი (ლექსი). ი. ბარათა-შვლისა.

III. ეგმონტი (ტრაგედია გეტესი.) ხუდადოვისა.

IV. შური (ლექსი) ი. ქაჩუხა-შვლისა.

V. კეთილ-მოქმედება მახარესი.

---

ტფილისს.

მარტიროზიანის ტიპოგრაფიაში.

## ცნობა

# სამცხე—საათაბაგოზე.

## (განგრძელება.)

ქართულად, ჭეშმარიტი სხუათა შორის ერთი ანდაზა გვაქუს,—«კაცსა ჴსწავლა არ მოსჭარბდებაო,» მართალადაც ასეა: კაცისთჳს მაღალი ჴსწავლა ის არის, იცნოს კაცობრიობა. კაცობრიობის შესწავლება ადვილი საქმე არ არის; ნეტავი იმას, ვისაცა აქუს ეს მდიდარი ჴსწავლა, დ ვაი იმისი ბრალი, ვინც არ იცის თავისი მსგავსი კაცი, რა ღირსებისა არის, ვინ არის, ანუ ვინა ყოფილა დ თუ მეტადრე თვალ-წინაც მიდგა ჩემის სახლის კაცი, უყურებ დავრდომილს, დაცემულს, დაბრიყვებულს, დამახინჯებულს სხუა დ სხუა უბედურის შემთხვევების მიზეზით დ უყურებ გულ-გრილად, გაციებული, თითქოს აქ არა ფერია, არა მომხდარარაო, მაშინ გადაემატება ყოველთა უგონო ცხოველზედ.

ჩუჱნ ეს მოგვყუავს ჩუჱნ ახლო, ძლიერ ახლო მე-

ზობელ მესხელებზე, რომელთ გარებოებას კიდეც შევეხებით ისტორიის მხრივ და მომატებულიც იქნება ლაპარაკი. — დიახ ჩემო კეთილო მკითხველო, ჩუენ ეს ჰაზრი მოგვყავს იმ მესხელებზედ, ანუ გარკუევითა ვსთქუათ, იმ ზემო ქართლელებზედ, რომელნიცა დგანან ახალციხის აქეთ, თუ იქით მხრივ ტრაპიზონამდინ, მწარედ დამახინჯებულები, მწარედ გამოცვლილები და დაცემულები, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ სხუა და სხუა უბედურ შემთხვევების მიზეზით. საწყლები, ხომ ასე დამახინჯებულები არიან, მაგრამ თავიანთი მამა-პაპის ენა ქართული, დედა-ენა ჩუენ მოძმეებს, ისე მტკიცედ დაუცვამთ, ისე მტკიცედ შეუნახავთ, რომ ჭეშმარიტად, კაცი არა თუ უნდა გაჰკვირდეს, თუ მცირედი გრძნობა აქუს ცრემლები უნდა მოუვიდეს, ეს თჳთ ჩუენ ვნახეთ; ეს თჳთ ადგილობრივ გამოვიკვლიეთ, შევიტყეთ და ამისათჳს ასე გაბედვითაც, ასე გულწრფელად ვაღვიარებთ.

დიდი ხანი იყო, რაცა გვქონდა გულითადი სურვილი გაგვეცნო ის ჩუენი ძმები, ის ჩუენი ახლო მეზობელი მესხელები, ანუ ზემო ქართლელები, რომელნიცა ოდესმე ყოფილან ჩუენი მოკავშირენი და ჩუენი დიდი საყუარელი მეგობრები—ბოლოს მოვიდა რა ჩემთჳს სანატრელი დრო, გავემგზავრე იმ ძუელს საათაბაგოსაკენ, რომელიცა ყოფილა ოდესმე ჩუენი გვირგვინი; რომელზედაც მამხდარა რამდენჯერმე სამაგალითო ძლევა ხალხის საღრმთო საკუთრებაზედ და რომლის წინ მიუძღვის დიდი შრომა, დიდი ღვაწლი ჩუე-

ნის ისტორიის სასიქადულოს, ჩუენის ისტორიის ფურცლების დამამშვენებელს, ყოველ თემისაგან პატივ-საცემს, დიდს მეფას თამარსა და საქართუელოს აღმაშენებელს მეფეს დავითს. ჩუენ ყოველთჳს და ყოველ საქმეში გულწრფელნი ვყოფილვართ და ახლაცა გულწრფელებით ვაღვიარებთ, რომ ეს იყო საკუთარი ჩემი და დიდის ხნის სურვილი,—გამეცნო და დამეგობრებინა ეს ზემო მოყვანილი მეზობლები, რომელთაცა უთქუამთ თჳთან ჩემთჳს, ჩემსავე აქ მგზავრობაში, «ქართუელი როცა მინახავს, გული ისე შემვარდნია, რომ აღარ მსურვებია, მოვშორებოდიო.» ეს იმათი წმინდა ქართული ენაა!.....

დიაღ ჩემო კეთილო მკითხველო, გავემგზავრე ჩუენ მუელ მესხეთისაკენ, მარტის 20 სა. და რა ავიარე ქართლი, გარდავვლე ბორჯომის მშუენიერი ხეობა, გაგადავხედე აწყურს, სადაცა ჰსდგანან სომხები, თათრები და ბერძნები. აქ არის, ტფილისითგან მისავალსედ, მარცხნივ მხრივ, მტკვარს გაღმა (აქ ეს უნდა მოვიხსენიოთ, რომ მტკუარი ჩამოუდის ბორჯომის ხეობას, რომელზედაც უნდა იაროს ნაპირ-ნაპირს) კლდის წუერზედ დგას, მუელი, მამა-პაპათაგან აღგებული ქჳთკირის ციხე.

სოფელს აწყურს გადახედავ თუ არა, მაშინვე წარმოგიდგება საქართუელოს ბუნება, თავისის ჩუეულებრ მშუენიერის, აქეთ-იქით მთებით, გახედავ შორს და კვალად შორს მთებს, ვიდევ მთებს იქით და იქით, თეთ-

რად დათოვლილს და დაბურუსებულს; შიგა და შიგ მინდვრებს მწჳანედ ახავერდებულს. თუმცა ჯერ კიდევ მარტის თვე არის, შესვდები მგზავრებს, სულ სხჳა ტანისამოსიანებს, რომელთ შეხედვაზედ ადვილად შეგიძლიან მკითხველო გაარჩიო, ვინ რომელს შთამომავლობას ეკუთვნის. ჩჳენი ძმები მესხელები, ჩჳენი მჳელი ქართჳელები ადვილნი გასაცნობნი არიან; რომ შეხედოს კაცმა, მაშინვე შეატყობს იმის სახეს, რომ ქართჳელი უნდა იყოს; იმას აცვია ჩოხა ოსური, შალვარი ვიწრო, აგრეთვე ოსური ქალამნები და მხოლოდ ამით თუ შეატყობ, ქართჳელი თათარი უნდა იყოს, რომ თავზედა ხურავს წითელი ოსმალური მაუდის ქუდი და ზედ ახვევია, შალი, ანუ ჩითი რამ,—მოკლეთა ვსთქჳათ ჩალმა. ამისაგან მიიღებ იმ გჳარსავე სალამსა, რაც გჳარი სალამი მიგიღია ქართჳელ გლეხ-კაცისაგან ქართლში, კახეთში, თუ ტფილისის ახლოს სომხეთში; იმავე გამარჯობას, დილა-მშჳდობისას, თუ საღამო მშჳდობისას. აი იმათთან მისალმება და იმათი მოკითხჳა, გზაზედ შებოგხჳდა, თუ შენ სახლში შემოვიდა:

—გამარჯობა მურად!

«ღმერთმა შენი სიცოცხლე ნუ მომიშალოს ბატონო.

—როგორა ხარ ჩემო მურად?

«ჴელ-კოცნით ჩემო ჴელმწიფევ. (ამ სიტყჳებთან შუბლზედ ჴელს მიიდებს და თავის ჰატივის-ცემით უკრავს.) ჴელ-კოცნით ვითომც და, მოკითხვისათჳს ჴელ-

ეგმონტი.

იმან იცის სადა დგას ის ქალი; ის მიგიყვანს; მაშინ ისე დასაჩუქრე ესა, რომ ეყოს თავის სიცოცხლეში, ამისათჳს რომ ის იმისთანა საუნჯესთან მიგიყვანს, მშჳდობით.

ფერდინანდი.

არ წავალ.

ეგმონტი (მალდა-მალ აგდებს კარებისკენ) მშჳდობით!

ფერდინანდი.

ო! ძ მე კიდევ მინდა პატარა ხანს დავჰყო აქ!

ეგმონტი.

მეგობარო, უგამოუსალმებელის რიგებით (მიჰყვება კარებამდინ. ფერდინანდი გონება დაკარგული, ჩქარა გადის).

ეგმონტი (მარტო).

ამოსავარდნელი! შენ არ მოელოდი შვების მოცემას

მგონება, ზემოდამ ეს-ეს არის ქუშტი გადაუკრავთ და მწჳანეთ შეუღებავთო. ეს არის მწჳანე ფირუზის ფერი ნათალი ქჳა, რომელიცა დუღაბით ისე შეერთებულა ართი მეორესთან და დაჭკვრია ზედ ბანსა, რომ დროს ვერ მოუშორებია. ქართჳელ-თათრებს ვკითხე, თუ რა ეკკლესია არის; მიპასუხეს, ანდრიას საუდარიაო. როგორც აღმოჩნდა, თუმცა ზედ-წარწერა არა არისრა, ეს ეკკლესია უნდა იყოს აღშენებული, მეხუთე საუკუნეში, როცა ზემო ქართლში, ესე იგი, მესხეთში ქრისტიანობა შემოვიდა ანდრია პირჳელ მოწამისაგან. მაჭმადის სარწმუნოება შემოუტანიათ აქ ოსმალოებს, მაგრამ ეს ქართჳელ-თათრები, ისე მოწიწებით, ისე შიშით და სასოებით ეპყრობიან, რომ ვერ შეუძლიან მწყემსმა იმ ეკკლესიის ახლოს საქონელი გაატაროს, რომ მკითხჳელი კარგად მიხჳდეს, ამ ქართჳელ-თათრების ასე სასოებით ჩჳენს ეკკლესიებთან დამოკიდებულებას, თჳთან იმათ ლაპარაკს მოვიტან აქავე, საიდანაც მკითხჳელი ნათლად დაინახავს იმათს გულში მამა-პაპათაგან ღრმად ჩანერგილს, ჩჳენის ეკკლესიების პატივისცემას.

—საიდანა ხარ ასან?

—„ვარძიითგან შენი ჭირიმე.

—ეგ ქართული სად ისწავლე, ჩემო ასან?

„როგორ თუ სადა, ჩემო ბატონო! მამა-პაპის ენა არის ჩჳენი შენი ჭირიმე და მამა-პაპის ენას რომელი მოსცილდება შენი ჭირიმე; მარტო ჩჳენ კი არა, ჩჳე-

ნი დედა-კაცებიც და ჩუენი შჳლებიც სახლში სულ ქართულსა ვლაპარაკობთ შენი ჭირიმე.

—ჩემო ასან, კეთილი კაცი ხარ, როგორცა ჰსჩანს და რადგანც ჩემი მოძმე ხარ, მაშ ერთს რასმეს კიდევა გკითხავ: თუ კი მამა-პაპის ენა ვერ მოგიშორებია, თუ რომ პატივსა ჰსცემ და ვერ გადაგივდია,—ეს მშუენიერი საყდრები, ასეთის ჩინებულის და საკჳრველის ხელოვნებით გაკეთებულები, რომელთ აშენებაზედ, თქუენ განსვენებულთ პაპებს, პაპის-პაპებს, გაუწევიათ დიდი შრომა, დიდი ღვაწლი, ბოლოს რომ გაუკეთებიათ, შესულან და ულოცნიათ დიდის სასოებით; ბოლოს კიდევ, რა მომკუდარან, შიგვე დასაფლავებულან და იმათი ძვლები, იქნება დღესაც შიგა ჰყრიან, თქუენ შჳლები, შჳლის-შჳლები, რად მოსცილებიხართ და იმათის ამდენ საღმრთო შრომისათჳს თავი დაგინებებიათ!—

აქ შეფიქრდა ჩემი ასანა. ჩაჰკიდა თავი, მოიფიქრა და მერე მიპასუხა:

„ეგ მართალია შენი ჭირიმე; მაგრამ აკი ახლაცა ვლოცულობთ. აი შემი ჭირიმე სახუნეთში ერთი საყდარია, ღამე რომ უყურებთ, გვინახავს რომ ნათელი ჰსდგას შიგა, თითქო ცეცხლ.ი ანთიაო. ბევჯელ შენი ჭირიმე, ჩუენთჳს კისერიც მოუგრეხავს, როცა შევსულვართ, სამთლები აგვინთია, კისერი ისევე გაგვსწორებია. აი კიდევ რას მოგახსენებთ შენი ჭირიმე: ჩუენს ახლოს მაღლა მთაზედ, ერთი ელიას საყდარია, იქ ყოველთჳს, დღეობას თხებს წავიყვანთ, რქებზედ შენი ჭი-

რიმე სამთლებს მივაკრავთ, გარშემო შემოვატარებთ და მერე დაუკლავთ. რათა, შენი ჭირიმე, ჩჳჱნ არა დაგვიკლიარა. მამა-პაპების სალოცავს კიდევაცა ვლოცულობთ.“

მართლადაც და ეს დიდად შესანიშნი არის; ყოველგან, სადაც კი დაივლი. თითქმის ტრაპიზონამდინ, სადაც კი ეკკლესია რამ აშენებულია, ისეთის ყურადღებით იცჳჱნ ახლო სოფლები, რომ მეტი აღარ შეიძლება. აი ჩემო მკითხჳჱლო აქედან ვიფიქროთ; ისეთი სოფელი როგორ იქნება სადმე, რომ კაცს შენობა რამ არ მოეხდინოს; ან სახლი არ გაეკეთბინოს, ან ბოსელი, ანუ სხჳა რამ, განა არ შეუძლიან გათათრებულს ქართჳჱლს მჳჱლი ეკკლესიის დანაქცევი ქჳა, ან თუნდა დააქციოს და მოიხმაროს თავის შენობაზედ, მერე აზიის ოსმალეთში, სადაცა ჰსდგანან აჭარლები, ლივანელები, არტაანელები, შავშეთელები, ლაზელები, ფოცხველები და სხჳანი და სხჳანი. ეს რომ ასე ექმნათ ისლამიზელებს, ოცის წლის განმავლობაში რაც ეკკლესიები არის, სულ მიწასთან გაასწორებდნენ, მაგრამ, როგორ შეუძლიანთ ეკკლესიის უკანასკნელს შენობის კენჭს შეეხნენ, ისე არის იმათ თავში ჩაბეჭდილი სასოება. ეკკლესიის ქჳას რომ ჰხედჳჱნ, იღებენ, მიაქჳსთ და ეკკლესიის კედლის მირს კრმალევით მისდებენ.—

---

იმ ალაგითგან, სადაცა ჰოსხოვან-ჩაი ერთვის მდინარეს მტკუარსა, შჳდ ვერსზედ მოშორებით, იქით მხრივ, რა აჴუვებით, მარცხენა კერძოდ მთასა, გაივლით რამდენსამე ვერსსა, მიხვალთ მაღლა-დ მაღლა, შემდგომ რა გადახედავთ, იქით ველზედ ხეობას, მიყრუებულს, მიჩუმებულს დ შექურუთებულს ალაგსა ჴსდგას, დიდი, თითქმის ტფილისის სიონის ოდენი, მშუენიერის მოწითალო ნათალის ქჳს, დიდ გუმბათიანი ეკკლესია საფარისა. მართლადაც უწოდებიათ—საფარისა; ისეთს მიფარებულს ალაგს არის, რომ მინამ კარგად ახლოს არ მისჳალთ, ჩემო მკითხუელო, ვერ შეიტყობ, არის რამ აქა თუ არა. ამ ეკკლესიას გარეშემო შემოვლებული აქუს ქჳთ-კირის დიდი გალავანი. სერზედ, ერთს ალაგსაც გალავნის კედელთან ციხე არის, რომელშიაცა მდგარან ათაბეკები, მფლობელნი რამდენიმე სანჯაკებისა· ეს ეკკლესია დღევანდლამდიმ ჴსდგას მკვიდრად, შეურყეველი დ დროებას ჯერ კიდევ ისე ვერ უმოქმედნია. ეს არის აღშენებული ღუთის-მშობლის სახელზედ ქი. (610) წელსა. ამ ეკკლესიის ორისავე მხრივ, კიდევ სხუა ორი ეკკლესია არის, ნათალის ქჳსაგანვე აღშენებული, ერთი წმინდა მარინესი, ხოლო მეორე წმინდის გიორგისა; ამას გარდა ხევის მხარეზედ, გადასახედ კლდის წვერზედ, აშენებული არის წმინდა საბას სახელობაზედ ეკკლესია. დიდის ეკკლესიის კარების ბჭეზედ, გარშემო ჩინებულის ჩუქურთმით ქჳრნი უსხედს. ბევრს ზედ-წარწერილობასა ნახავს მგზავრი, მაგრამ ზოგი დროებას

წაუბღალავს, ზოგი ოსმალოს და ეფენდებისაგან არის წამხდარი და ნაცემი წერაქვით როგორც ის ზედ-წარწერილები, ისე შიგნით, კედლებზედ ხატების მხატვრობა. ერთი ზედ-წარწერა როგორც იყო გადმოვიღეთ.— აი ესა:

«მამაო, ქრისტე ღმერთო, შენ ადიდე მადიდებელი შენი, შეიწყალე, როგორც ამა სოფელსა-შინა, ისე იმ საუკუნესაცა, მთავარი ჩუენი ათაბეგი და მენი მისნი. მისისა ნებითა, მოვკვეცა ესე ალაგი, ჩუენდა დასასაფლავებლად, უღირსთა მონათა, ლაფრისა და მეთა, მმათა, მისთასა.“

ამ ეკკლესიას შეწირული ჰქონია სხუა და სხუა დროს ათაბეგებისაგან, ზოგი საქართუელოს მეფეთაგან სოფლები: თობა, ანდრია წმინდა, მუსხი, წითელი კლდე, ახტილა, ჰუკა, ჭობორეთი, წყორძა, ერკოტა, კოსატიბი, ორალი, ხაკი-აბი, სამელე, ანდა, არჯული, ჰამაჩი, ენილთ ინდუსა, გრმელი და ლაშხევი. ამ სოფლებში, სხუათა შორის რომ მოვიხსენიეთ არჯული, ამ წოდების უბანი არის ზემო თიანეთში, სოფელს წიკვლიანთ კარსა. იქ სოფლელები იმ უბანს უწოდებენ არაჯულს უბანს. ის უბანი გადასახლებულა აქედან, ისინივე ანბობენ ახლა, ჩუენ ოსმალეთითგანა ვართო.

ამ საფარის ეკკლესიაში რომ შეხვალთ, მარჯვენა მხარეზედ, კედელზედ დახატულები არიან ყვარყვარე ათაბეგი, თავისის ორის შვილებით.

ოსმალეთის სულთანს მურადს, რომლის სულთნო-

ბაში მოლლები დ̃ ეფენდები ჰსდევნიდნენ ძლიერ ქრისტიანობასა ჩუმდ-ს (1544) ჩამოურთმევია ამ საფარის მონასტრისათჳს ზემო ხსენებულნი მამულები. იმ დროს იჯდა ახალ-ციხეში მიტროპოლიტად გაიოზი,—ამ მამულების წართმევას კიდევ ითმენდა როგორც იყო, მაგრამ როდესაც გამოვიდა ოსმალეთიდგან ყალიმანჯ-ეფენდი, მოვიდა ახალციხისაკენ დ̃ გარშემო სოფლებში დაიწყო ჩაგონება დ̃ ამაჰმადიანებდა ხალხსა, მაშინ გულმა ვეღარ მოუთმინა დ̃ შეიტანა ამ საგანზედ საჩივარი ანტიოხიის პატრიარხთან. ამ პატრიარხმან იჩივლა სულთანთან, რომელმაცა გამოჰსცა ფირმანი. ამ ფირმანის ძალით, ვითომც დ̃ ვერ შეეძლო ვერავის ქრისტიანებისა ძალად გამაჰმადიანება, ვერცა ეკკლესიების საკუთრების წართმევა დ̃ ვერცა მათი დაქცევა. ის ფირმანი არის შემდგომი:

«ნებითა ალლახისათა, ჩუ̂ენ სულთან მურადი. მონამან ჩუ̂ენის დიდებულებისამან, ანტიოხიის პატრიარხმან გერასიმემ, რომელთანაც შეუტანიათ ჩუ̂ენ სახელზედ უქუ̂ეშევდომილესი საჩივარი, რომ მიტროპოლიტი ახალციხისა დ̃ ჩილდირისა მომკუ̂დარა დ̃ იმის ადგილას განუწესებია პატრიარხს, ჩუ̂ენი მონა გაიოზ მიტროპოლიტად, რომელსაცა ჩუ̂ენის დიდებულებისაგან ეძლევა ფირმანი, რომ ანტიოხიის პატრიარხმან, ახალციხის დ̃ ჩილდირის მიტროპოლიაში მცხოვრებთ ბერძენთა დ̃ ქართუ̂ელთა უნდა შემოატანინოს გადასახადი, ჩუ̂ენის დიდებულების ხაზინაში რვა ას ორმოც დ̃ ათი

ახჩა.“

„ამისათჳს, ჩუ̃ნის უმაღლესის ფირმანით ვაცნობებთ ყოველთა ერთგულთა ქუ̃შევრდომთა ჩუ̃ნთა, რომ განწესდა რა მიტროპოლიტად ახალციხის დ ჩალდირის ფაშალიკებში, სრულის მიტროპოლიტის უფლებით დ ამისათჳს ჩუ̃ნის დიდებულებისაგან ეძლევა თავის-უფლება მაზედ, რომელ არა რომელსა სხუ̃ათა სარწმუნოებისასა არ შეუძლიან შეეხოს დ არცა გაერიოს იმის სასულიეროს საქმეში. აქუ̃ს უფლება იქცეოდეს ისე, როგორც ქრისტიანური წესია, იქადაგოს, მოახდინოს სასულიერო განკარგულება. იმას უნდა მორჩილებდნენ როგორც სამღუ̃დელონი, ისე ბერები,—აგრეთვე სრული უფლება ეძლევა ისარგებლოს საეკკლესიო მამულებითგან, რომელნიცა შეწირულები არიან ქართუ̃ელთ მეფეებისაგან. ამა ჩუ̃ნსა უმაღლესსა ბრძანებასა უნდა მორჩილებდნენ ყოველნი ქუ̃შევრდომნი ჩუ̃ნნი.“

თუმცა ამ ფირმანით ხალხსა ასე ატყუებდა, მაგრამ საცოდავ საათაბაგოს ქართუ̃ელებს, მაინც თავისი გადახდათ.

ამ მონასტერს რომ ამოხვალთ, ერთს ვერსზედ მოშორებით არის სოფელი, რომელსაცა ეწოდება ანდრია წმინდა.

არიან მრავალნი, რომელთაცა ასე ჰგონიათ, საქართუელოს შეადგენდეს, ქართლი, კახეთი და იმერეთი თავისის წვრილ-სამთავროებით,—არა ჩემო მკითხუელო, საქართუელო მარტო აქ არა ყოფილა; დედა საქართუელო ეს არ არის; ჩუენი დედა საქართუელო არის მესხეთი, ანუ ძველი საათაბაგო. ვინცა ყოფილა აქა და დაუვლია ეს მხარე, ესე იგი, მრთელი, როგორც ახალციხის უეზდი, ესე იგი, ახალციხის ფაშალიკი, ისე ოსმალეთის საქართუელო, რომელშიაცა არიან სანჯაკები: ქობულეთი, ბათუმი, ქუემო აჭარა, ზემო აჭარა, ლივანა, არტაანი, შავშეთი, ლაზეთი, ორთელი, ჩრდილი და ფოცხოვი, ის უნდა გაჰკვირდეს იმ მონასტრების შენობაებზედ, რომელნიცა აღგებულან ჩუენთა წინაპართ ქართუელებთაგან; ის უნდა გაჰკვირდეს იმაზედ, თუ როგორ შენახულა, ოსმალეთის მძლავრობის ჴელში, ჩუენი ქართული ენა, ანუ ჩუენი ძველებური ქართული ყოფა-ქცევა, ჩუეულებაები და სხ. საწყალთა ჩუენთა ქართუელთა, რამდენი შრომა და ტანჯუა გამოუვლიათ თავიანთ შჳლების და შჳლის-შჳლების დიდებისათჳს,—რამდენი სისხლი დიუნთხევიათ და თავიანთი სამეფო გაუვრცელებიათ, თითქმის ტრაპიზონამდინ; რამდენი ეკკლესიები და მონასტრები გაუშენებიათ იმ გუარები, რომელთა ნახვაზედ, არ შეიძლება არ გაჰკვირდეს მნახველი და რომლის საკჳრველების გაგონებით მოდიან მწერლები უცხო ქუეყნებითგან, ჰსინჯავენ ყურადღებით და მიაქუსთ თავიანთ ქუეყანაში ანბავი,

როგორც ერთ ხუთ საკჳრველებათაგანზედ.—ახლა? ახლა ისა, რომ ის ეკკლესიები, ის მშუენიერი მონასტრები, ის საკჳრველებაები და ყოველივე ჩუენი იქაური დიდება არის ოსმალოს ქუეშევრდომ თათრების ჴელში და ის თათრები კი არიან ჩუენი მესხელები, ჩუენი ღვიძლი ძმები, ჩუენი სისხლი და ხორცი, ძუელი ქართუელები, რომელნიცა ჰხედვენ რა, ანბობენ კიდეც, ჩუენ მამა-პაპაჲ საკჳრველი მონასტრები უკეთებიათო და გული ისე გაგრილებული აქუსთ, თითქოს არა ფერიო, დროს ბევრი რამ შეუძლიან და ამასთანავე ჩუენს დაუდევნელობას.—

ხერთვისის ადრინდელ სასანჯაკოში, მესხეთში, სოფლის ხერთვისის თხუთმეტს ვერსზედ მოშორებით, მდინარე მტკვრის სათავის ექეთ მხრივ მოშორებით, ერთს მაღალ მთაზედ, არის საკჳრველი მონასტერი, რომლის ნახვაზედ არ შეიძლება არ გაჰკჳრდეს მგზავრი. რომ ნათლად წარმოუდგინოთ მკითხუელს ამ მონასტრის საკჳრველი გამოქანდაკულება, უნდა მოვახსენო, რომ ის მაღალი კლდის მთა, რომელშიაცა მონასტერი არსებობს, უნდა იყოს, თითქმის ორასი საჟენი სიმაღლე და რომელსაცა ქუეშ მდინარე მტკუარი ჩამოუდის იმ სიდიდისა არა, რა სიდიდისაც ტფილისს ჩამოუვლის,—ისე სწორეთ ჩამოთლილი არის, თითქოს განგებ, კლდის კედელი აუშენებიბთო. აქედან რომ მიხვალ ჩემო კეთილო მკითხველო, მარჯვნივ მხარეზედ აზდევს ერთი ბილიკი, ამ ბილიკს უნდა დაადგე, რომელიცა აგიყვანს

ძლიერ მაღლა,—ეს ბილიკი არის მიხლათულ-მოხლათული კლდეში გამოჭრილი ვიწრო გზა. რა კარგა გზას ახვალ, დაგხვდებათ ნათალის ქვით აღგებული, სხუა დ სხუა გუარ ჩუქურთმით ამოკვეთილები, დიდი თაღიანი ალაყაფის კარები.—ეს კარები გაგიყვანთ მრიელ პატარა გალავანში დ ამ გალავნითგან შეხვალთ, დახურულს ოთახში, რომელშიაც რა შეხვალთ, დაგხვდებათ, ეკკლესია. ამ პირველ შესავალს კარებში, წმინდანების მხატვრობაა დ თუ ფანჯრითგან ძირს გადმოიხედე, თითქმის მტკვარი ძლივს მოჩანს, ისე მაღლა არის. რა შეხვალ ეკკლესიაში, ნახავ რომ ეს ეკკლესია ქვით-კირით არ არას აღგებული,—ეს ეკკლესია არის შიგ კლდეში გამოჭრილი, მხატვრობა თუმცა ყველგან კლდეებზედ არის, მაგრამ ამ მხატვრობაში, მხოლოდ ჰსჩანს კაფიეთად თამარ დედოფლის სახე დ იმისის სახლობისა. კანკელის მხრივ რომ დასდგე ჩემო მკითხველო, მარცხნივ მხარეზედ კლდეში გამოჭრილი კარები აქუს, აქედან გახვალ დ შეხვალ ბერების სენაკებში, საიდანაც შეგიძლიან ახვიდე, კლდეში გამოჭრილ კიბით მაღლა, შვდ რვა ეტაჟას ასცდეთ, სულ ზემო სენაკებს მოექცეთ, აქედან გაიაროთ დ დაიაროთ სრულებით ბერების სამლოცველოები. უკანა მხრივ, შეხვალ აგრეთვე, კლდეში გამოჭრილ ოთახებში, სადაცა არიან აკლდამები დ სადაცა დასაფლავებულან წმინდა ბერები. აქ ნახავთ სახაბაზოს, ნახავთ საკუჰნაოს, სამზვარეულოს, მეფის პალატს დ სხ. თუმცა მთელი დღე მოუნდი, მა-

გრამ განგებ დავთვალე, ამ მთაში გამოკვეთილი ბერების სენაკები და შეადგინა 365 ოთახი, სრულებით კლდეში გამოკვეთილი, რომ არც ერთს ალაგს არ არის მიშენებული კედელი. ამბობენ ვითომც ეს მონასტერი იყოს გამოკვეთილი მეცამეტეს საუკუნეში, თამარ მეფისაგან: ამ მონასტერს უწოდებენ ვარძიის ღუთის-მშობლის მიძინების მონასტერსა. თავ და პირველად ამ მონაშტერში ყოფილა წინამძღვრად ათაბეკთაგანი ნიკოლაოზ, რომელიცა აღზრდილა იერუსალიმს. ამ გამოქვაბულში არის კიდევ ერთი პატარა ეკკლესია გამოკვეთილი, თომა მოციქულის სახელზედ. ამ ვარძიის მონასტერსა ჰქონია შეწირული ძველად, ზოგი მეფე თამარისაგან, ზოგი ათაბეგებისაგან, სოფლები: წუნდა, ნაქალაქევი, თმოგვი, ნავარძიები, გოგაშენი. ვენახები სოფელს ტოლოშში: ზედათ-თმოგვი, ერგიტა და გუმურდო. წარმოიდგინე მკითხველო, ამ დიდებულს და მესხეთის სასიქადულო მონასტერის გარშემო ახვევია სოფლები, რომელშიაცა მოსახლობენ ქართუ̃ლი-თათრები. აქეთ და იქით ხეობაში სოფლები არის: ჩეჩერეკი, მინაძე, რუსთავი (სადაცა ჩუ̃ნი სასიქადულო პოეტი რუსთაველ დაბადებულა) წყალტფილა, იდუმალა, ასპინძა, (სადაცა გაიმარჯუა საქართუ̃ლოს მეფემ ერეკლემ) ხიზანბავრის ვენახები, საროს ვენახები, ორმოცი (თქმულობა არის აქ მცხოვრებთ ქართუ̃ლ-თათრებში, ვითომც ამ სოფელში თამარ მეფე შესწრებიყოს დიდ-მარხოს, ემარხოს ორმოცი დღე, აღდგომაც აქ გასთენებოდეს და

ამისათჳს დაერქმიათ ორმოცი) ხერთჳსი, კილდე, ნაქალაქევი (აქ არის კიდევ შესანიშნავი მონასტერი, ნათალის ქჳთ ნაგები) წუნდა და გორგასტანი. არიან კიდევ სოფლები: ტოლოში, ჰნელა, ახაშენი, ღობიეთი (აქაც არის ერთი დიდი ეკკლესია) მუსხი, ახალსოფელი, ანდრია წმინდა. ამ სოფლებში სცხოვრებენ, გათათრებული ქართველები, თუმცა ქართულსა ლაპარაკობენ და იქნება სურვილიცა ჰქონდეთ, ისევე ქრისტიანობის მიდებისა, მაგრამ სოფელი არ არის, რომ ორი და სამი ეფენდი არ იყოს და ერთი ხომ უკლებელია, მოლლების გარდა. ისე აფრთხილებენ, რომ ეკკლესიის სახელის ხსენებაც არ შეუძლიანთ. ხერთჳსში მიანბო, მოხუცებულმა მამა-პაპით ქართველმა და ახლა გათათრებულმა ჯუხუტა ეფენდიმ,—მართალია 1625 წლითგან, ყვარყვარე ათაბეგის შემდგომ ოსმალებმა დეგვათათრესო, მაგრამ მაინც არ მოვცდებით და მრთელი ამ ხეობის ხალხი, დღეობას, ვარძიის მონასტერში მივდივართ და ვლოცულობთო. სხვა ეფენდები უშლიან ხალხსა და მე ვერ დამიშლიათ, ამისათჳს რომ ჩემნი მამა-პაპანი ქართველები ყოფილან და მეც გვარად ვაჩნაძე ვარო, ამ ეფენდიმ რომ ეს მიანბო, გული ამევსო ნაღვლით და თუმცა ბევრი ველაპარაკე, მაგრამ პასუხად მითხრა: კაცი რა სარწმუნოებითგანაც დაბადებულა, იმ სარწმუნოებაში უნდა მოკვდესო.—ქართულს ენას მაინც ნუ დაჰკარგამთ, მე ვთქვი,—მომიგო; ჩემი სჯულის მადლმა, ყველას ვარიგებ ისწავლონ, მაგრამ მასწავლებელი არა

ვინა მეავსო, ჩემ შვილებს-კი მე თითონ ვასწავლი წერა-კითხვასაო. ეს ჯუხუტა ეფენდი, ამ სტატიის თავშიაც მოვიხსენიეთ.

როდესაც ამ ეფენდის ველაპარაკებოდი, ერთი გლეხკაცი, ქართუჱლ-თათარი შემოვიდა, არ ვიცი ქართუჱლი რომ მნახა იმისათჳს, თუ მართალი საჩივარი ჰქონდა. მრიელა ჰსწუხდა, ზურაბა მქვიან შენი ჭირიმე და მეზობლები მურადას მეძახიანო. დიდად გამიკვირდა, თათარს ზურაბა თუ რად ერქუა. პაპა ჩემს ზურაბა ჰრქმევია, მერე გაუთათრებიათ, ბებია ჩემს, დედი-ჩემისათჳს ანდერძად დაუგდია, შვილი რომ დამებადოს, ზურაბა დაარქვიო.

ვარძიის მონასტრისათჳს ერთი ეს არის სანუგეშებელი, რომ ერთი ბერი მოსულა საბერძნეთითგან და ამ მონასტერშია, ჰსდგას მარტოდ-მარტო. ამ ბერის გუარი არის პაპურგოპულო. ეს უვლის მრთელს მონასტერსა, ჰგვის, ჰსწმენდავს.—ეს არის პირუჱლი დურგალი, ჩინებული კალატოზი, სადაც რამ დაქცეულია, აკეთებს; სადაც კარი აკლია, აბავს და თავის დროზედ ლოცულობს კიდეც. როდესაც თავის სენაკიდამ გადმოგვხედა მონასტერში მიმავალთ, ზარის რეკას მოჰყვა, მოგვეგება და მიგვიღო. წარმოიდგინე მკითხველო, რამდენიმე ხნის განმავლობაში, შუა ქართუჱლ-თათრებში მოსიარულემ, ისიც დიდ მარხოში, იმ ჩინებულს ხეობაში, მიყრუებულს და მიჩუმებულს ალაგს, რომ გავიგე ზარის ხმა, მეტად მესიამოვნა, მაგრამ საუბედუროდ,

როგორც იმ ბერმა მიანბო, თურმე ქურთები არ ასვენებენ და ხშირად აწუხებენ.

ამ ზემო აღნიშნულ სოფლებში ჰსდგანან ბევრნი ბეგები,—იმათში მოვიხსენიებ მხოლოდ იმათ, ვისიც გუარები ცნობილნი არიან ჩუენში ქართლში და კახეთში: აქ არიან ამილახვრები, რომელნიცა იწერებიან ახლა,-ხიდირ-ბეგებად; ფალავანდი-შჳლები, რომელთაცა გადაუსხვაფერებიათ გუარი და იწოდებიან ახლა,—ფაგარად-ბეგ, მუთუ-ბეგ-ზადე; ან კიდევ ზოგნი ფაჴლევან-აღა; ქვაბლიანის მხარეზედ, სოფლებში ჰსდგანან ერის-თავები, რომელთაცა ახლა უწოდებენ—სამურ-ოღლი; ხერხეულიძეები სცხოვრებენ ხერთჳსში; ასპინძაში ჰსდგანან ბეგები, რომელთაცა უწოდებენ ასპინძა-ბეგ.

აქ კიდევ ერთი დაგვავიწყდა. საფარის მონასტრის ახლოს არის სოფელი, რომელსაცა ეწოდება ვაშლოვანი. ამ სოფელში შემხუდა ერთი გლეხ-კაცი, თათარი, რომელმაცა მითხრა გუარად კოპაძე ვარო.

ი. კ.

(ზოგი იქნება შემდგომ ნომერში.)

# საიდუმლო წიგნი

## I

ძმაო და მეგობარო ც...!

ვსცან შენის წიგნით მეძღური, რაზედა რას მემა-
რთლები?
წიგნს რომ არა გწერ იმაზედ? ამის მიზეზსაც მიხვდები.
ორივესა გვსურს ვაცნობოთ, ერთმანერთისა აზრები;
მაგრამ ვინ მოგვცემს ნებასა, რომ ვაგრძნობინოთ და-
რდები?
შენს მზესა ვფიცავ, მძულს დიდად უაზრო მიწერ-
მოწერა,
წერა უნდა ჰგვანდეს წერასა—სხვა ფრივ სჯობია—სულ
არა.
განა მარტოკა შენ სჩივი, რომ ძვირათა გწერ წიგნებსა?
შეიტყე რა ამბები აქჳსთ, ჩემს ზოგს ერთს ნათესავებსა;
საცოდავებსა ჰგონიათ რომ სწორეთ მიწერ-მოწერით,
მტკიცდება კაცთ სიყვარული—იჭვრიტებიან ავ თვალით.
რა გაეწყობა ეგონოთ როგორც ასწავლის მათ ჭკუა,
ჰსცდებოდნენ იგინიც, მანამ სოფელიც თითონვე ცრუა,
შენ ვიცი მათ არ მიჰბაძავ, ამაზედ ეჭვი არა მაქჳს,—
მე პატივსა ვცემ იმ კაცსა, ვინც ამოქმედებს გონებას.
ერთი მითხარი, რას დავდევ მათ უსაფუძლოსა წერომას?

შიში მაქვს, რომ არ სწყრებოდეს ვინც სწორეთა სჯის
ვინც მიყვარს.
მგონი ამაზედ, რომ მმაო თჳთ შენც აცხადებ თანხმო-
ბას.
ეხლა მაქვს მოცლა დავსჯდები და მოგწერ მე ვრცელსა
წიგნსა,
რაც შენთჳს არ მიცნობია, აწ ამოვიყრი მთლად ჯავრსა,
ოჰ საყვარელო ც. . . წარმოიდგინე და სცანი,
შენ ამ საიდუმლოს წიგნით, რომ ვარ მუდამ ნაღვლი-
ანი....
უცხოდ ვიცნობთ ერთმანერთსა, რა მოასვენებს ჩუჱნს
სულსა?

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

მგონი მაშინ მოვისვენებთ რომ ჩაგვფლამენ სამარესა!...

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

## II

შენც კარგათ იცი რომ მმაო კორპუსში დიდხანს
ვსწავლობდი,
თუმცა ბევრსა ვსტიროდი, მშობლებსაც ვემდურებოდი,
რომ ჩემსა სახლსა მე მამაშორეს; მაგრამ რაღასღა
ვიქმოდი?

ბევრით სიცოცხლეც მომაკლდა, სჩანს ჩემი ეს იყო ბედი.
მშობლების ნატვრა აღსრულდა, მივიღე ეპოლეტები;
მაგრამ საშინლის ყინვისგან თითქმის კინაღამ დავჭლე-
ქდი.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

თავის დროზედ ქართუჴლები რა მრავალსა ინანებენ,
რომ შჳლებსა საცოდავებს, ასე სწავლას უბრკოლებენ...

## III

ივნისის თორმეტს მე მმაო მომცეს სამგზავრო ქა-
ღალდი,
მომცეს თუ არა რაღა ვსთქა, სიამოვნისაგან ცრემლს
ვღვრიდი.
წარმოიდგინე სამშობლო რა ხანი მე არ მენახა?
რასაკჳრველია რომ მსურდა საქართუჴლოსი კვლავ ნახვა.
საათმა ათი რომ დაჰკრა, უცებ მოქანდნენ ცხენები,—
ჵ მოუთმენლად ჩავსხედით ეკიპაჟს სულ ქართუჴლები.
მე დაუყვირე კუჩერსა: გარეკე მეთქი ნუ ჰკვდები,
გასწი გაფრინდი შენს გარდას უკან მეტს ნუ იხედები.
ჩუჴნი მეცხენე გასწორდა, ერთი მანეთიც ვაჩუქეთ,
ქუდიც გვერდზედ გაიკეთა, ჩაატკაცუნა მათრახით,
სამ სამ ცხენებმაც გასწიეს ხმოვანის ზანზალაკებით!..

## IV

გამოგვიცვალეს ცხენები, შეგვიბეს მთლად გაფურები,

და გავეშურეთ ჩუჱნს გზასა—ვითარცა ტყის ნადირები,
იბინდა; მაგრამ მთვარე ცას, მოცურდა ნაზის ფერითა,
ოჰ გვაღონებდა საშინლად, თავისის უებრობითა.
ვარსკვლავნიც უცხოთ შვენოდნენ და თითქოს ზოგნი ჰქრებოდნენ,
ახლად ჩნდებოდნენ, ბრწყინავდნენ, შვებითა იყურებოდნენ.
ზანზალაკის ხმა შორს ჰსმოდა ზუზუნით ჩუჱნცა გვართობდა,
მთვარე ცას თავის ცურვითა ემაწვილებს ღრმად გვაფიქრებდა.
გარემოს იყო დუმილი, არც ერთნი კრინტს არ ვიღებდით;
მხოლოდ მეცხენე ხან და ხან შეექცეოდა სიმღერით.
ჩუჱნ ნჯღრევამ რომ შეგვაწუხა ერთმანერთს მივეყუდენით,
მცირეს ხანს მივიძინებდით და წუთს გამოვიღვიძებდით,
მერმე რის ყოფით, რის ამბით, ძლივს სტავრაპოლსაც ჩამოვხტით...

## V

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

# VI

ჴელ-ახლად გზას გავეშურეთ, გაფურად ჭსტოდნენ ცხენები,—
აგე ათ ვერსტსაც გავსცილდით, გამოჩნდნენ კავკასის მთები.
ისე რიგითა შვენოდნენ შორიდამა ის კლდეები,
ვერ ვაშორებდით თვალებსა, სრულად მიგვტაცეს გუ-ლები..
წარმოიდგინე მხატვრობა მდებიარობა კავკაზის:
თოვლიან მთებსა და კლდებსა, თავს დანათლიდა შუქი მზის;
შორით სხვებს ეგონებოდათ, რომ ქუეყანა არს ციური,
ანუ ციხეა ბუნებით, უშველებელი ძლიერი!
კლდეების შუა მოჩანდა ჩადრით მოსილი კაზბეგი,
რომ დავინახე მე ისა მაშინათვე წამოვდექი!
ღრუბლები მის ძირს ცურავდნენ, ყაზბეგი მათ მაღლად ჩანდა,
და მხოლოდ მახსოვს არწივიც ზედ თავსა დასტრია-ლებდა.
ის უცხო მთების მხატვრობა შემრჩა აქამდის მე გულში,
რა უყურებდი სატრფო კლდებს, ვამბობდი ჩემს გუნებაში:
რას გეშინიან კავკასო! ბედნიერი ხარ ყოვლის მხრით,
ციხე ხარ მიუწთომელი დაარსებულ თჳთ ბუნებით!

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

## VII

მის შემდეგ ჩუჱნ შეუდექით, სამხედრო ქართულსა გზასა;
მაგრამ რა გითხრა რას ვგრძნობდი, ან რა სიამოვნებასა?
მართლად რომ სამხედრო გზა თჳთ ამართლებს თავის
წოდებას,
წარმოითგინე აღვიწერ საბრძოლ გზის მდებარეობას:
რაც ღონე ჰქონდათ ცხენებსა, ველს ჰრბოდნენ თავის-
უფლათა,
გამრეკიც მეტის ეშხითა, მათ უფრო რეკდა შტვენითა!
უეცრივ ჩუჱნ შეუდექით ერთს უშველებელ კარებსა,
სადაც ვხედავდით მაღლად ცას, მარცხნივ დ მარჯვნივ
კლდეებსა.
აქვე რბის თერგი გაფურად, ტირის დ წივის, თითქოსა
ვიზედაც ჰსწყრება დ ღელვით, ებრძვის ვინ იცის ვისა!..
თერგის ღრიალი შორს ჰსმოდა დ მაღალ ტყიან მთა
კლდეში,
კაცს ჰგონებოდა, რომ ახლოს ხალხნი იზრბოდნენ მწარ-
ომში!

თერგი თავისის ღრიალით, ლტოლავდა უკმაყოფილი.
ეჯახებოდა ნაპირებს, საშინლად აღშფოთებული!
მაშინ ვფიქრობდი: რასა ჩივის? ვისია ეს უმადური?

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

მაგრამ თერგის წყლის ბუტბუტით—კაცი ვერა აზრს
მიხვდება!...

## ყაზბეგის სტანცია.

## VIII

ვგონებ რომ ყოველსა მგზავრსა არ გაევლოს ეს სტანცია,
რომა არ შეკრთომილიყო, არ შესულიყოს ფიქრშია.
წარმოიდგინე მხატვრობა და ამ სოფლის მშვენიერობა,
გარწმუნებ ყოველს უგრძნობ კაცს—იქ გაეხსნებოდა გრძნობა.
დღე იყო მრთლად მოღრუბლული და ადგა თუ არა ქარი
ცა მოიწმინდა სრულებით, განაქრო მზემა ავდარი.
დიდებულესი ყაზბეგი ვერცხლისა მსგავსად შვენოდა,
და მის თეთრს წვერსა, შუქი მზის ბრწყინვალით ათამაშებდა!
ყაზბეგის ძირს მოღრიალებს, ისევ ის თერგი ბოგშჯვით,—
და მაღლად შორად მისი ხმა, იმეორება ბრძოლივით!
ყაზბეგის გვერდსა მთა არის, მის წვერზედ დგას ეკლესია,
და უწოდებენ სამებას; მაგრამ შვენებით სავსეა!

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

## IX

მე და ჩემს ამხანაგებსა გვქონდა იქ მხიარულება,
უჭვრეტდით უცხოს ხეობას მოგვწონდა მდებიარობა.
ყველამ პირობა შევკარით, რომ ყაზბეგს დიდ ხანს და-
ვრჩებით
და მართლად იმ პოეზიას სწორეთ მთელი დღე ვეტრ-
ფოდით.
იმავ დღეს პირველ საათსა, შეიქნა რეკა სამებას;
თურმე ნუ იტყჳ იხდიდნენ იმ ეკკლესიის დღეობას!
სტანციით მაღლა უჭვრეტდით, საყდრიდამ ხალხი გა-
მოდის,
ხეობას იყო სიჩუმე გლოვით ისმოდა კვრა ზარის!
ქართჳელნი ჩამოდიოდნენ ქვევითა იმ მაღალის მთით,
და ჩინებულსა მხატრობას თვალებსა ვერ ვაშორებდით...

## X

თერგის პირს ხალხი იყრება, წვრილნი ბიჭებიც და-
რბოდნენ,
და ორნი მათგანვე კიდევ ჩჳენს ახლოს პერანგა იდგნენ.
მაშინვე ვიხმეთ ჩჳენთანა, ეჭვითა ჯერ შემოგვხედეს,
თითო აბაზი ვაჩუქეთ და მერმე უცხოთ გაგვიცინეს.
ვლაპარაკობდით მათთანა ისინიც ამბებს გვითხრობდნენ:
„აგერა იმ მაღალ კლდეზედ (გულ მოუსვენლად ამბო-
ბდნენ)

,,თოვლით რომ არის მოსილი (ყაზბეგის მთას გვიჩვე-
ნებდნენ.)
,,წვერამდის ვერ ვინ ასულა, ისეთის სიმაღლისაა.
,,ყაზბეგზედ ხედავთ შენობას? ის თამარ მეფის ციხეა.
,,შიგ ციხეს რკინის ჯაჭვითა, ერთი მდევია დაბმული,
,,მის შიშით თქჳჱნი ჭირიმე, ყველას გვისქდება გული.
,,როცა მდევს გააჯავრებენ; ერთბაშათ დგება ავდარი,
,,სეტყვა, ქარი ჰსწყვეტს მთით ხეებს და ატანს ზედ ნიავ-
ღვარი,
,,და როს მდევს არვინ აჯავრებს; მაშინ კი მშვიდობა არი.
,,თქჳჱნ რას იცინით? ღმერთმანი, ავე იმ სამების მა-
დლმა,
,,ჰკითხეთ თუ გნებავთ სხვებსაცა, ჩჳჱნ არ ვსტყუით
თქჳჱნმა მზემა!
,,ერთხელ ამ ციხეს დაეცნენ: ყაბართო და მთლად ლეკები.
,,ქართჳჱლებს გული დაუსქდათ წუთს დაამზადეს თოფები!
,,ციხეს, რომ არის დაბმული ის მდევი, მაშინ გაანჩხლდა,
,,ყაზბეგიც თოვლით მოისო და ისე რიგად აცივდა;
,,რომ მტერნი ყინვისაგანა უკვე მიექცნენ ბინასა,—
,,და გამარჯვება ჩჳჱნ დაგვრჩა აქაურ ყაზბეგელებსა!,,
უნდა გენახა ბოვშვები, რა აღტაცებით ამბობდნენ!
სიფიცხით ხან წითლდებოონენ ხან უცხოთ გაიცინებდნენ.
რომ გაათავეს ზღაპარი გაიქცნენ და ხალხში გაჰქრნენ....

## XI

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . , . . . . . . . . . . .

# XII

ღვინის სმა რომ გაათავეს ჩუენ მაღალ მთაზედ ავე-
დით
დ̃ იმ მაღლობით ტრფობითა, მასპიმძელ ხალხს დავ-
ყურებდით.
ტანათ მაღალი შავ წვერა. იქ ერთი ქართუელთაგანი,
იდგა თერგის პირს დ̃ ღელვით ფიქრობდა დონჯ-შემ-
ოყრილი,
მდინარეს თვალს ადევნებდა, საშინლად შუბლ-შეჭმუ-
ჭვნილი,
იგრეხდა შავსა ულვაშსა ქართუელი ნაბდით მოსილი,
რას მივხვდებოდი მის ფიქრსა ანუ კაცს რა ანაღვლებდა?
მაგრამ ვინ იცის ვამბობდი ჩუენს გმირსა რა აღარდებდა?.
არ ვაშორებდი მისკენ თვალს, მინამდის მიზეზს ვერ
მივხვდი,—
დ̃ კოსტო იდგა წყლის ნაპირის მეც მისსა კვალსა
უჭვრეტდი...
კარგა ხანს კაცს უყურებდი დ̃ ძლივს მივხვდი მის ნა-
ღველსა.
თურმე რა იყო მიზეზი? გაღმითა თერგის ნაპირსა,
იჯდა თხუთმეტის წლის კლეხის გოგო, უბრალოთ ჩა-
ცმული,
მშუენიერ პირსა იბანდა პერანგა გულ გაღეღილი,
შავთვალ-თმა წარბა გოგოცა, ისე რიგათა შვენოდა,—
გარწმუნებ არისტოკრატ ქალით უკან არ დაუდგებოდა!
მის გარდაშლილი გიშრის თმა, თეთრ ბროლსა ყელს
ევლებოდა,

თვალები სავსე სიცოცხლით—უგრძნოსა გააგიჟებდა!
სინაზით სავსეს მუმუებს, მზის შუქი იყო აშვენდა;
რომ დამიჯერე არამც თუ მჭვრეტელსა ჩააფიქრებდა,—
არამედ გული მეც მიხტა და სისხლიც შემითამაშდა!..
თავისსა თეთრსა ფეხებსა, ხან ჰყოფდა მევირალა წყალში,
იყურებოდა მოკრძალვით უმანკო სადღაც შორს მთაში...
ჰსჩანდა, რომ ნაზსა ტუჩებსა კაცი არ მიჰკარებოდა,
და არც უწყიდა გოგო ჯერ ტკბილ კოცნით რაებს
იგრძნობდა;
ის გრძნობოთნი ქართჳ̂ლიც მხურვალებით შეჰყურებდა
მის ბროწეულსა მუმუებს, გოგოსთან გარდასვლაც სურდა;-
მაგრამა წყეული თერგი, ორსავ ჩჳ̂ნ გმირებსა ჰყოფდა.
ზოგნი ვერ ჰხედვენ გლეხებში ვერაფერს პოეზიასა,
დიდათა ჰსცდება ის კაცი ვინც არის ამ განზრახვისა
მდიდარნი ვერ მიხვდებიან გლეხთ თავისუფლურ ცხოვ-
რებას.
უნდა გენახა მათ ქცევა-ვერ გააძღობდი ჭვრეტით თვალს..,

## XIII

აგერ ურემი მოძრაობს გზაზედა, ნელ-ნელ ზარმაცად;
ურემზედ იჯდა ქართჳ̂ლი, მღეროდა ის თავისუფლად.
მაგრამ მღეროდა იყო, რომ სრულებით მიგვტაცა გრძნობა,
იმ სევდიანის ხმისაგან აქამდის გულს მიწუხდება.
თითონაც ეშხით ამბობდა თჳთ საზრით პირუტყვებს რე-
კდა,

და თავის მშჳენიერს ხმასა, თან და თან სულ ამაღლებდა!
მთლად ხალხნი დაჩუმებულნი მეურმეს უგდებდნენ ყურსა,
და გლეხიც ბულბულისავით იჩენდა უებრო ხმასა.
ის ნაღვლიანი სიმღერა ქართჳელებს მთლად ამრწუ-
ნებდა!
ოჰ გვკლავდა ის მშობლური ხმა, გულზედაც გვრჩებო-
და სევდა!.
მეურმის მონარნარე ხმა შორს სევდიანად ისმოდა,
ერთბაშად სიმღერას ჰსწყვეტდა და ხან ხი-მამოს დაჰს-
მახდა!!!.
ცოტას ხანს უცხოს მეურმეს, ხალხი ვეღარსად ხედავდა,-
ხოლო შორიდამ წყნარი ხმა — გლეხისა კვლავ მოდი-
ოდა.—

## XIV

თერგი ლომივით ღრიხავდა და იმ ჩაფიქრებულს ხა-
ლხსა,
გაამხნევებდა კვლ-ახლად, გარდაუყრიდა სევდასა.
თითქოსა გამოფხიზლდნენო — შეიქნა კვლავ მოძრაობა,
წვრილის ბიჭების სტვირზედ კვრა და მოსულ ხალხის
ხუმრობა.
,,ძმობილნო"!—ერთმან შეჰყვირა: ,,გავმართოთ მოჰ-
ჭიდაობა!!
მეისვე დათანხმავდნენ. ერთს ადგილს შეიქნა გლეხთა
ერილობა,

ორად გაიყო მთლად ხალხი, ყველანი განზედაც გადგნენ-
და ერთ წამს ფალავნებიცა მათ შუა გულადათ იდგნენ.
ისევ ის გლეხი ამბობდა: „რომელი მხარეც იმარჯვებს
ეს ჯამი სავსე ღვინითა იმ ფალავანს ეკუთნოდეს“...
„ჰო ეგრე იყვეს“! მაღლა ხმით, დანერჩენებმაც მიუგეს.
შეიქმნა ხალხში სიჩუმე, ყოველს გლეხს გული უშფო-
თდა,
ორივე მხარე ფალავნებს, მოუბრით აგულოვნებდა.
მოჭიდავენი შორიდგან ერთმანერთს ემუქრებოდნენ,
და გულში წითელ ღვინოზედ—ორნივე მწარედ იწოდნენ!
ცა მოიწმინდა...სიცხე მზის, ფელავნებს მთლად ადუ-
ღებდა,
ყაზბეგიც თითქოს მოწამე, მებრძოლებს მაღლით დასც-
ქეროდა!..
მყვირალა თერგი ბუტბუტით, ფალავნებს ავაჟკაცებდა!
ფალავნებს ფერი ეცვალათ გაიხსნეს ახალუხები
და ერთს წუთს ხარბად ეძგერნენ, ერთმანერთს ვითა ვე-
ფხვები!
ხალხში შეიქნა ყიჟინა ყვიროდნენ გულ მოუსვენრად:
„ზაქარო! შენი ჭირიმე არ შეგვარცხვინო ჩვენ მტუჟლად“!
„სოსიკო! სხვებიც ატანდნენ, ჰა, ვინმლო იდგე გულა-
დათ“..!
ოჰ რა უჭვრეტდი ფალავნებს, ვსტკბებოდი სიამოვნებით,
რა გრძნობითა ჭიდაობდნენ, ვერ აიწერება კალმით.
ევროპელების ომებსა, ვერ დავადარებთ ამ ბრძოლას,
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

მებრძოლნი სულ ჭიდაობდნენ და კვლავ მომესმო ყვი-
რილი:

„ჭო! ეგრე! ეგრე! ზაქარო! მოგვერდი ჭა! თა!თა!თა!თა!.“
„სოსიკა! სხვები ატანდნენ, ნუ ჩქარობ იყავ მშვიდათა“
დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს გულადნი ფალავანები;
მაგრამ თანაბრად მანამდის ორთავ უცემდათ გულები.
ბოლოს ზაქარამ წააგლო საყელოს ჩუ̂ცნ სოსიკასა,—
და დაასხეთქა ვეფხვივით უწყალოდ დედამიწასა.
„ოჩალ ზაქარო! შეჭყვირეს ერთის ხმით, გავიმარჯვე-
ნით“!..

და მხარე დამარცხებული იყურებოდა თავ დახრით,
გამოჭყავთ დასიცხებულნი, ორნივე ფალავანები,
ზაქარა მხიარულებდა,--სოსიკას ებნდა თვალები.
გამარჯვებულმა ბიჭებმა წაავლეს ჴელი ღვინოსა,
და მერე რის ალტაცებით დაუდგეს წინ ზაქარასა.
ფალავანიც თავ მომწონე, წითულ ღვინოსა იყუდებს,
მთლად ერთიანად გამოსცლის, სოსიკას არას დაუგდებს...

# XV

მე ჩემის ამხანაგებით უცქერდით გლეხთა სეირსა,
მაღლა ვისხედით მთაზედა, სევდა მოაწვა ჩემს გულსა.
მზე გაზაფხულის, კეკლუცად ყმაწვილ ქალსავით შვენოდა,
და მთვარე ცას შავ კაცივით თითქოსა მზეს არშიყობდა.
მხიარულ ხალხსა ნათლიდა, ის უცხო მზის ბრწყინ-
ვალება,

უკმაყოფილი თერგიცა თავისებურად ჰღრინავდა.
ყაზბეგელები ისევა ლხინითა დროს ატარებდნენ,
და ლამაზ გლეხის ქალები მშჳჱნივრად ქართულს უვ-
ლიდნენ.

ფიქრი.

## XIII

მის შემდეგ დაღონებული, უცქერდი მოხუც ყაზბეგსა,
და ისიც ჭაღარა თავით, იცქირებოდა თითქოსა.
გლეხნი ხარობდნენ, მღეროდნენ, სიცოცხლე ყველას
უღუღდათ;
მაგრამ ჩემსავით თერგიცა ჰტოლავდა სულ სევდიანად!
აქ წარმომიდგა უეცრივ ქჳჱყნისა ამაოება,
რა უყურებდი გლეხ-კაცთა მტანჯევდა მე მწუხარება.
ჯავრით ვკვდებოდი ვიწოდი საშინლად მებრალებოდნენ,
ის ჩინებულნი გლეხ-კაცნი ჩემ წინ რომ დარდიმანდ-
ობდნენ.
ჰოი ძმანო ძმანო! ვამბობდი: რითა ვჯობივართ ჩჳჱნ
მათა,
რომელნიც იდგნენ ჩჳჱნს ქვევით, უქუდოთ საცოდავათა,
გონებით? სრულებით არა. მხნნობით! მით უფრო ვცდე-
ბით.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

## XVII

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

## XVIII

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

## XIX

მზე მეეფარა კლდეებსა და ჩადიოდა დასავლეთს,
და მისნი ბრწყინვალე შუქნი აღარ ნათლიდნენ ხეობებს.

დაშინდა კიდეც გარემოს, ძლივსღა ვხედავდით ერთმა-
ნერთს,
ქართჳჱლნი სალხნიც თან და თან, თავს ანებებდნენ შე-
ქცევებს.
მზისა ნაცვლათა, ვარსკვლევნი უცხოთა ამობრწყინავდნენ
და მთვარე ნარნარის ცურვით გვემუქრებოდა თითქოს
ჩჳჱნ.

ვეღარც ვჴედავდით გიჟ თერგსა, რომელიც მრავალს
მალხენდა,
თავისის სევდის ჩივილით, თითქო ჩემს გულსა ჰბაძავდა;
როგორც ის უკმაყოფილი მყვირალა ეჯახებოდა
თავის მშჳჱნიერს ნაპირებს, ბრძოლით რაღასაც ით-
ხოვდა,
მაგრამ უსიტყვოს მდინარეს წადილს არავინ უსმენდა,
აგრეთვე მეც თერგის მზგავსად, შფოთვით ვილევი სრუ-
ლებით,
ბევრი რამ ჰსურს დაჩაგრულს გულს; მაგრამ ხომ იცი
ამ ნატვრით
მხოლოდ უფრო ვგიჟდები და ვრჩები მარტო იმედით.
და ამის შემდეგ რა მეთქმის? ეს ღაა რა საკვირველია,
რომ თერგისავით ვღრინავდე ყოველთვის აღშფოთებული,
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

# XX

მრავალს სტანციებს გავსცილდით თერგის ნაცვლათა,
არაგვი

მოდუდუნებით გვართობდა, მტკიოდა საშინლად თავი;
ჩამომჩხრიალსა არაგვსა, მთვარე ზედ მას დანათლიდა,
და შვებით სავსე მდინარეც უცხოსა ხმასა იღებდა.
ღრმად ვიყავ ჩაფიქრებული ამხანაკთ სიტყჳსას არ ვს-
ცემდი;
მაგრამ რადგანაც სიხარბით არაგვსა თვალს ვადევნებდი,-
თავისის სიმშჳენიერით, გარდამიყარა მთლად დარდი,-
ბოლოს გამოჩნდა შორითა ჩჳენი ქალაქი ცხეთა,
სადაცა მის წინ წივილით არაგვი, მტკვარს ერთვებოდა,
ცხეთას უცქერდი დიდ ხანსა და მისსა მდებიარობას,
ოჰ მკლავდა მკლავდა ხეობა! და რა უჭვრეტდი ძველს
ცხეთას,
ვამბობდი ჩემს გუნებაში: ჰი ქალაქო! იყო დრო
როდესაც გულადათ იდგა ეგ შენი ციხე უებრო!
იყო დრო, ოდეს ქართჳელი, ლომივით მტერსა ებრ-
ძოდა,
და დასისხლებული მწარ ომში, სამშობლოს მტრისგან
გვიხსნიდა!

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . , . . . . . . . . . : . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

## XXI

ოჰ მიყვარს მე საქართჳელო, მამწონან მისი
კლდეები,

მისი ვაჟკაცნი შვილები და მისი ხმოვანი წყლები!
ეს არის უბედურება და ქართლის ნაკლებულება,
რომ უთაურობის გამო აქამდის ვერა ნათლდება.
ოჰ საბრალოა შენმა მზემ, რომ ქუჱყანა მშუჱნიერი
მთლად შემკობილი სიმდიდრით; რჩებოდეს აწ გაუ-
წროთვნელი,

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

სხვა რა მოგწერო კიდევა კმარა ამდენი ჩივილი.
მაშ საყვარელო მშვიდობით წიგნს გარდიკითხამ და ბო-
ლოს
შეიტყობ, რომ მველებურად, ეს გული სულ მწუხარე-
ობს!!!

ი. ბარათა-შჳლი.

---

შენიშვნა.

**154** გვერდზედ, სულ ბოლოს ორს სტრიქონში და-ბეჭდილი „თუმცა ბევრსა ვსტოროდი-დან, მაგრამ რა-ღასა ვიქმოდა-მდე, გთხოვთ არ წაიკითხოთ, რადგა-ნაც ეს სიტყვები მე არ მეკუთვნიან. ავტ.

## სცენა IV.

(ეგმონტი სძევს მძინარე სკამეიკაზედ, შემოისმის გასაღებების ხმა და კარები გაიღება, შემოდიან მოსამსახურენი ჯაჭვლებით; ამათ უკან მოზდევენ ფერდინანდი, ალბას შვილი და სილვა შეიარაღეიულებით. ეგმონტი გაიღვიძებს).

ე გ მ ო ნ ტ ი .

ვინა ხართ? რისათვის ჩემის თვალებიდგან მტრულად განაგდეთ ძილი? რა ამბავს მამიტანს თქვენი ცივი, მოუსვენარი სახენი? რისათვის არის ეს საშიში თქვენი შემოსვლა? რა გვარის საშინელის როტვით გინდათ დასცეთ ზარი ნახევარზედ გამოღვიძებულს სულს?

ს ი ლ ვ ა .

ჩვენ გამოგვგზავნა გერცოღმა გამოსაცხადებლად შენის მსჯავრისა.

ე გ მ ო ნ ტ ი .

ჯალაბი თანა გყავთ?

სილვა,

გაიგონე და მაშინ გაიგებ რაც მოგელის შენ.

ეგმონტი.

თქუჱნგან და თქუჱნის სამაგელის საქმეებისაგან შე-იძლება მოველოდე მაგას. ღამით მოიფიქროს და ღა-მითვე მოიყვანოს აღსრულებაში! მაგ გვარად შეიძლება უფრო კარგათ დამალვა უმართლო-მსაჯულების ბოროტ-მოქმედებისა! გამოიღე რაღა ჴლაშჩ-ქუჱშ დამალული ცული! აი ჩემი თავი, უთავის-უფლესსი ყველაზედ, რომელნიც ტანს განშორებიან ტირანიის მალით.

სილვა.

სცდები! რაც გადასჭრეს პირუთნებელთ მსაჯულთ, იმას არ შეუშინდება დღის სინათლისა.

ეგმონტი.

მაშ თქუჱნი თავხედობა აღემატება ყველა დასაჯე-რებელს.

სილვა (გამოართმევს გვერდზე მდგომს განაჩენს (გა-ნეაჭოაას) გაშლის და წაიკითხავს)..

,,სახელით კოროლისა დ~ გადმოცემულის ჩემზედ მათის დიდებულებითისაგან უფლებით—გავვჰსაჯო ყოვე-ლა იმისი ქვეშევრდომნი, რომელს კლასსაც უნდა ეკუ-თვნოდნენ, თჳთ კავალერებიც ოქროს მატყლის ორდე-ნებისა, ჩუჱნ ვცანით.....

## ე გ მ ო ნ ტ ი.

შეუძლიან კოროლს მაგ უფლების გარდაცემა?

,,ჩუჱნ ვცანით, შემდეგ გულს მოდგინე დ~ კანონიე-რის განხილვისა, გენრიხი, გრაფი ეგმონტი, თავადი გავრისა, ჴელმწიფის მოღალატედ. ამისათჳს განვბჭეთ: განთიადს დღისას გამოიყვანონ ისა საპყრობილიდგან მეიდანზედ დ~ იქ ხალხის წინ, შეშაშინებლად ყველა მო-ღალატეთა, დასაჯონ სიკუდილით—მახვილით მიცემუ-ლია ბრუსსელში (წელიწადი დ~ რიცხჳ თჳსა გამოუ-რკვეველადა წაიკითხოს). ფერდინანდი, გერცოღი ალბა, პირველ მჯდომი რჩევისა თორმეტთა» ეხლა შენ შეიტყე შენი მსჯელი; ცოტა დრო კიდევ დაგრჩენია, მოემზადე; რიგში მოიყვანე საშინაო საქმეები დ~ გამოესალმე მა-ხლობელთა.

ეგმონტი (რაოდენსამე ხანს დარჩება ჩაფიქრებული, არ უცქერის გამავალს სილვას; როდესაც აიხედამს ნა-ხამს ფერდინანდს).

# ეგმონტი.

შენ კიდევ აქა ხარ? დარჩი? ხომ არ ფიქრობ შენ, შენის მუნ ყოფით განმიმრავლო მე გაოცნება, შიში? ხომ არა გსურს წაუღო მამაშენს ამბავი, როგორი განწირულებაში მოვედი მე?.....წადი! უთხარი იმას, უთხარი. რომ ვერც მე დ~ ვერც ქუეყანას ვერ მოატყუებს ისა. იმის, დიდების მოყვარეს, მხრების უკან ჯერ ბუტბუტით დ~ მერე მაღლისა დ~ მაღლის ხმით ილაპარაკებენ დ~ როდესაც ჩამოვარდება თავის სიმაღლიდგან მაშინ ათასი ხმა ერთად შეჭყვირებს იმის წინ: არა მტატების კეთილ-დღეობამ, არა კოროლის სარგებლობამ დ~ პროვინციებში მშჳდობის ჩემოგდებამ მოიყვანა ის აქ თავის სარგებლობის გულისათჳს, ურჩია კოროლს ომი, რადგანაც მეომარს, მხოლოდ ომში შეუძლიან თავის გამოჩენა, იმან იმიტომ აშალა აქ, არას დროს არ მამხდარი, აღრეულებანი, რომ ის საჭიროდ გამოჩენილიყო, დ~ მე ვეცემი, როგორათაც მსხვერპლი იმისის დაბალის შურის მიებისა, იმისის უბრალოს შურისა. დიახ, მე ვიცი, დ~ ვკრძალვი გამოთქმას; მცხოვრებს სასიკვდილოთ მომზადებულმა შეუძლიან გულადათ უთხრას: დიდი ხანი მიმზადებდი შენ მე სიკუდილს, დიდი ხანია გულში ჩაიდე შენ ჩემი დაღუპვა. ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ჩუენს ახალ-გაზდობაში ვთამაშობდით ხოლმე, თუ რომ ოქროები, რომელნიც ერთიდგან გადადიოდნენ მეორესთან, ბოლოს დროს დამრჩებოდნენ

ხოლმე მე, ჯავრობდა, თუმცა კიდეც ცდილობდა დამშჳდებულის სახით ჩვენებასა, მაგრამ კი იმის გულში დუღდა ჯავრი არა იმტელი თავის წაგებაზედ, როგორათაც ჩემს მოგებაზედ. კიდევ მახსოვს იმისი გააფთრებული და გაყვითლებული სახე, როდესაც ერთს უქმე დღეს, რაოდენიმე ათასის კაცის წინ, ჩჳენ ვესროლეთ ნიშანსა, იმან გამამითხოვა მე; ორივე ნაცია (ხალხი) იყვნენ დიმსწრენი,—ისპანელებს და ნიდერლანდელებს ეჭირათ სანამლეო. მე ვაჯობე, ჩემი მოხვდა ნიშანს და იმისიკი ასხლტდა. ჩემის მხარეს დამჭერთ სიხარულის კიჟინა შორს გავიდა ჰაერში. ეხლა კი მე იმისი ნასროლი მხვდება. უთხარ იმას, რომ მე იმას ვიცნობ და ამასთანვე ვიცი რომ ქჳეყანა შეურაცხ ჰყოფს ყველ ჯილდოს, რომელთაც ბედასლი სული ბოროტ-მოქმედებით იღებს, და შენ, თუ რომ შესაძლებელია შჳლისათჳს მამის კჳალზედ არ წასვლა, ეცადე, მინამ შესაძლებელია, ისწავლოს სასირცხვილო საქმეებისაგან უკუდგომა, ამისათჳს რომ შენ უნდა გრცხვენოდეს იმისი, რომლისათჳსაც გსურს გულით ჰატივის ცემა.

## ფერდინანდი.

ყურს გიგდებ, არ გაწყვეტინებ. შენი სიტყვები მხვდება მე ისე, როგორათაც კვერთხი ზუჩს; მე ვგრძნობ შერხევას, მაგრამ გამაგრებული ვარ თუმცა მარჯვედ არიან ნასროლნი, მაგრამ ვერა სჭრიან. ვგრძნობ მხო-

ლოდ გულის დამგლეჯელს ტკივილს. სამწუხაროა ჩე-მთჳს, სამწუხარო! რა სახილველს მოვესწარ! რა წარ-მოდგენის მოცქერალი უნდა გავხდე!

## ეგმონტი.

საჩივრებსაც მითვლი? გული რამ შეგატკინა? რამ გაგაჯავრა? ხომ გვიანმა სინანულმა არა იმაზედ რომ გახდი მოსამსახურე საძრახავის განძრახვისა? აგრე ახალ-გაზდა ხარ, აგრეთი თვალადი! ისე მეგობრულად მეკი-დებოდი, ისე მოგწონდი. შენი მოცქერალი, მამა-შენსაც ურიგდებოდი, ⴃ აგრე მცბიერად, უმეტესად იმისა, გა-მაბი მახეში!......მეჯავრები. ვინც იმას ენდობა ის შე-გნებით საშიშროებას აძლევს თავს, მაგრამ ვის უნდა შეშინებოდა შენი მონდობა?... წადი, წადი! ნუ მტაცებ ამ ცოტა ოდენს დანარჩენს მინუტებსაც! წადი რომ ყველა, ქუეყანა ⴃ წინა პირველად შენ, დაგივიწყო.

## ფერდინანდი.

რა უნდა გითხრა? ვდგევარ, გიცქერი ⴃ ვერა გხედავ, მე ჩემს თავს ვერა ვგრძნობ. უნდა თავი ვიმართლო შენს წინ? უნდა დაგარწმუნო რომ გვიან, მხოლოდ ბო-ლოს დროს მამი-ჩემის განძრახვას მივხვდი? რომ შე-ვიქმენ უნებლიედ იმისი სურვილის შემსრულებელი? განა კი შეიძლება რომ კარგი იფიქრო რამე ჩემზედ?

შენ იღუპები და მეკი უნდა დავრჩე აქ, რომ მოგცე ნუგეში და დაგიტირო!

ეგმონტი.

შენი სიტყვები მაკვირვებენ; არ მეგონა შეხვედრა საფლავს მიმყვანის გზაზედ მაგისთანა მოულოდნელის მონაწილეობისა. შენ, შვილი ჩემის უპირველესის და მხოლოობითის მტრისა, გული გეწვის ჩემზედ, განა შენ ჩემი მკვლელთა განი არა ხარ? თქვი, ილაპარაკე, რომელად უნდა ჩავაგდო მე შენ?

ფერდინანდი.

უწყალო მამავ! ამ ბრძანების მოცემით გიცან მე შენ. შენ იცნობდი ჩემს გულს, ჩემს გრძნობას, რომელთჳსაც ისე ხშირად, როგორც სამკვიდრებელის ჩემის ნაზის დედისას, მიჯავრდებოდი ხოლმე, გამამგზავნე აქ იმიტომ რომ შენ დაგემგზავსო. ან მალად მაჩვენებ ამ კაცს მდგომარეს პირ დაღებულის საფლავის ნაპირს, ამის იძულებითი სიკჳდილსა, რომ მე ვიგრძნო უღრმავესი გულის ტკივილი, რომ მერმე ყოველს შემთხვევაში შემეძლოს უგრძნობლად ყოფნა და გულგრილად ცქერა ყველასი.

## ეგმონტი.

მე ვჰკვირობ! გამხნევდი! ილაპარაკე ისე როგორც შეჰფერობს ვაჟკაცს.

## ფერდინანდი.

ოჰ, ნეტავი ქალი ვიყო! რომ საკმაო იყოს ჩემთჳს თქმა: რა გიწუხებს გულს? რა გაჯავრებს? მიჩვენე უ-მეტესი ამისა სიმწუხარე, არას დროს არ გაგონილი სიმწუხარე; გამხადეთ თავდები მამაზედ უსაშინლესის მოქმედებისა; მაშინ მადლობას გადგიხდით და ვიტყჳ: ეს ისე, არაფერია.

## ეგმონტი.

მოთმინებიდგან გამოდიხარ; რა გემართება?

## ფერდინანდი.

ო, ნუ დაუშლი ჩემს სიმწუხარეს თავისუფლად აღ-მოსვლას, დაე ცხადათ გამოითქუან ჩემი საჩივრები. არ მინდა დამალვა და მოსვენებით ჩვენება, როდესაც ყველა ჩემში იმღვრევა. რათ მეწერა შუბლზედ შენი ნახვა ამ ალაგს? შენი!—საშინელებაა! შენ ვერ გაგაგებინებ! და ან კი უნდა შენ გაიგო? ეგმონტო! (მოეხვევა).

ეგმონტი.

ამიხსენ საიდუმლო.

ფერდინანდი.

აქ საიდუმლო არა არისრა.

ეგმონტი.

მაშ აგრე ღრმად როგორ გატკინა გული უცხო კაცის უბედურებამ?

ფერდინანდი.

უცხო კაცისამ! შენ ჩემთჳს უცხო არა ხარ. შენი სახელი, როგორათაც ცის ვარსკულავი ისე წინ მიძღოდა და მინათებდა გზას ჩემს ყმაწვილობაში. რამტყელჯერ შენთჳს ყური მიგდია, მიკითხავს შენთჳს! ფიქრნი (**мечты**) ყმარწჳლისა შეადგენენ (**образуютъ**) ჭაბუკსა, ფიქრნი ჭაბუკისა შეადგენდნენ ვაჟკაცსა. შენ ყოველთჳს იყავ ჩემს თუალ-წინ, სუ ყოველთჳს ჩემს წინ; და მე უშურ მიუტანელად გხედამდი ჩემ-წინ, უკან მოგდევდი, სადაც კი წახვიდოდი. მე მქონდა იმედი ოდესმე შენის ნახვისა; გნახე და გული ჩემი მზათ იყო ამოვარდნილიყო შენს მოსაგებებლად. შენთჳს ვნიშნავდი

წინათვე მე ჩემს თავს და ჴელ ახლად აგირჩიე მაშინ რომელსაც გნახე, მე ვიმედეულობდი მალი მალ შენს ნახვას, შენთან ცხოვრებას, შენთან დაახლოვებას,—და ეს სუყველა განჰქრა,—და აი მე შენ სად გხედამ.

ჩემო მეგობარო, თუ რომ შენთჳს სასიამოვნოა, ნებას ვიღებ დაგარწმუნო, რომ პირველსავე ნახვაზედ გული შემივარდა შენზედ. გამიგონე. ნება დამრთე ორიოდე სიტყვის ერთ ერთ-ერთმანერთში გატარებისა. მითხარ: მართლა პირველი, მკაცრი სურვილი მამი-შენისა არის ჩემი სიკჳდილით დასჯა?

ფერდინანდი.

დიას, სწორეთ.

ეგმონტი.

ეს განბჭობა არ არის ცარიელი საფრთხული, მოგონილი ჩემს შეშაშინებლად, ჩემს დასასჯელად შიშით და მუქარაობით, ჩემს დასამცირებლად, რომ მერე ისევ კოროლის მოწყალეებით აღმამაღლონ?

ფერდინანდი.

ოხ, არა! სამწუხაროდ არა! პირველად მე თითონვე ვმლოქნელობდი მაგ აუხდენელის იმედით, და ჩემთჳს სა-

შიში და გულის სატკენო იყო შენი მაგ მდგომარეობა-
ში ნახვა, ყველა ეს შეუცვლელია, ჭეშმარიტია, მე ვე-
ღარ დამიჭერია თავი. ვინ მამცემს ღონის-მიებას, ვინ
მამცემს რჩევას, აღვიცილო თავიდგან აღუცილებელი?.

## ეგმონტი.

ყური მიგდე, თუ რომ მართლა აგრე სურვილით გსურს ჩემი გამოხსნა, თუ რომ მართლა შენ ეგრე გმა-
გს მალადობა, რომელმაც შემიყარა ბორკილი,—შენ შეგიძლიან გამომიხსნა! ყოველივე წუთი ძვირფასია, შენ ხარ უძლიერესსის კაცის შვილი, შენ თითონვე ხარ ძლიერი, მამეცი შემთხვევა გაქცევისა! მე ვიცი ყველა გასავალი გზები და ის ღონის-მიებაები თავი როგორ დავასწრო აქედგან შენ არ შეიძლება რომ არ იცოდე მხოლოდ ეს კედლები და რაოდენიმე ვერსი მანძილი განმაშორებს მე ჩემის ამხანაგებისაგან, დაარღვიე ეს ზღუდენი, მიმიყვანე ამხანაგებთან და შეიქმენ ჩვენი, მე დარწმუნებული ვარ რომ კოროლი იქნება შემდეგ შენი მადლობელი ჩემის განთავისუფლებისათვის, ეხლა ის განრისხებულია, იქნება კიდეც სუ-ყველა არა აქვს გა-
გებული. მამა-შენი კადნიერად არიგებს ყველას და კო-
როლიც ვაიმულობით ამტკიცებს ყველას, შენ მოიფი-
ქრებ განა? ო, მოიფიქრე ჩემსთვის გზა თავისუფლებისა! მითხარ, ნუ გააქრობ ჩემში იმედს სიცოცხლისას!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი.

და მე კი აქ უნდა ვიდგე და ყველა ვნახო, შეუძლო შენის ნახვისა, სიცოცხლის მობრუნებისა! ო, ვერა სიტყვები ვერ გამოსთქმენ ამ უბადრუკებაებს! ვისი გული არ განსკდება ამისთანა წვალებაებისაგან!

გ მ ო ნ ტ ი.

დამშვიდდი!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი.

შენ შეგიძლიან მოსვენებით ყოფნა; შენ დაბჯენილი მკლავზედ მიუცილებლობისა, მაგრად გადასდგამ უკანასკნელს ნაბიჯს. მაგრამ მე? მე რაღას მოველი? შენი სიკუ̂დილი მოგცემს შენ გამარჯვებას შენს თავზედაც და ჩუ̂ტნზედაც, ის შეადგენს შენს დღესასწაულს; მეკი, შემდეგ შენის სიკუ̂დილისა, ცოცხალი მკუ̂დრად შევიქნები. შენში ჰქრება ჩემთჳს ლამპარი სიმხიარულისა, მანათობელი ჩემი ლხინში და ერილობაებში; შენში ვკარგამ მე საომარს ბაირაღს, ნაღვლიანია, ცარიელია და უიმედოა ჩემთჳს მომავალი.

## ეგმონტი.

...........

ახალ-გაზდა მეგობარო! რომელსაც გონების მიუწ-თომელის ნებითბედის-წერისა ერთსა და იგივე დროს ვჰოულობ და ვკარგავ! შენ სასიკუდილო თავზარ დაცე-მულო წინამდგომის ჩემის სიკუდილისაგან, ტანჯულო ჩემის ტანჯვით! შემამხედე მე ამ მინუტში: შენ მე არ მკარგავ. თუ რომ სიცოცხლე ჩემი იყო შენთჳს სარკედ, რომელშიაც შენ გიყუარდა შენის სახის მებნა, მაინც ჩემს სიკუდილს შემდეგ მე დავრჩები შენთჳს ისევ იმათ. კაცნი მარტო იმ დროს არ არიან ერთად, როდესაც ერთად იმყოფებიან; არა, იმასაც რომელიც განშორე-ბულია ჩუჱნგნით, შეუძლიან ყოფნა ჩუჱნთან მე ვიც-ხოვრებ შენთჳს, ჩემთჳს საკმაოდ ვიცხოვრე. ყოველს დღეს ჩემის ცხოვრებისას ვატარებდი მხიარულად; ყო-ველ დღე ჩემს ვალს ვასრულებდი განუშორებლად, რო-გორც მაჩვენებდა ჩემი სვინიდისი. ეხლა სიცოცხლე ჩე-მი თავდება ისე, როგორც შეეძლო გათავებულიყო ად-რევე, უფრო ადრე—გრაველინგენის რიყეზედ. მე აღარ ვიცხოვრებ, მაგრამ მიცხოვრნია. ეგრეთვე შენ, ჩემო მე-გობარო იცხოვრე მხიარულად და მშჳდობიანად, შეუში-ნებელი სიკუდილისა.

## ფერდინანდი.

შენ უნდა დაგეზოგა შენი სიცოცხლე ჩუჱნთჳსა; შენ

შეცუმლო დაგცვარა; შენ თითონვე შენს თავს დაეც დანა. მე ბევრჯელ შემსვედრია ყოფნა, როდესაც მრავალთ ჭკუიან კაცთ ჰქონიათ შენზედ ლაპარაკი: მეგობრები და მტრები დიდ ხანს ბაასობდნენ, მაგრამ ორთავ მხარე თანახმანი ხდებოდნენ იმაზედ, რომ შენ საშიშ გზაზედ მიდიხარ, რამტელჯერ მოვმზადებულვარ მოსაწერად, რომ შენ გაფრთხილდე! სასახლეში შენ ერთი მეგობარი არა გყვანდა!

ე გ მ ო ნ ტ ი.

გაფრთხილებდნენ.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი.

როგორის სინამდვილით შეჰქონდათ ხოლმე ყველა შენზედ ნათქუამი ცუდ სიტყვებთ გასამტყუნებელს აქტში, ეგრეთვე შენი პასუხები, საკმაონი მოსატევებლად და არა სრულებით ბრალის ასაღებად შენსგნით.

ე გ მ ო ნ ტ ი.

თავი დავანებოთ მაგას. კაცსა ჰგონია რომ მოქმედობს თავის-უფლად, მიჰყავს თავისი ცხოვრება იქით სადაცა სურს; როდესაც რომ შიგნეული იმაში კაცი უსაცილოდ ემორჩილება ბედის ტარებას. გვეყოფა ამტე-

ლი ფიქრობა ამაზედ, ამ ფიქრებისაგან მალე შემიძლიან გავანთავისუფლო ჩემი თავი, მაგრამ აგრე ადვილად არ შემიძლიან დავანებო თავი განმრახვაებს ჩემს მამულზედ! ამაზედაც თავს შეიდებენ! თუ რომ სისხლს ჩემს შესძლებოდა დანთხევა მრავალთათჳს, თუ რომ შესძლებოდა ხალხისათჳს მშჳდობის მოტანა, მაშინ სიხარულით დავანთხევდი მე ამას. ტყუილიღაა კაცისათჳს ქექა ქაღალდებში, როდესაც აღარა იქნებარა. თუ რომ შეიძლო დაყენება განმადგურებელის მამიშენის ძალისა, დააყენე მშჳდობით!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი.

არ შემიძლიან თავი დავანებო.

ე გ მ ო ნ ტ ი.

ჩემს მსახურებს შენს მფარველობასა ქუეშ უშვებ, მშუენიერი კაცები არიან; ეცადე რომ არ გარეკონ: გააბედნიერე. როგორ არი, რიჩარდი, ჩემი სეკრეტარი?

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი.

ის შენზედ წინად დაისჯება სიკუდილით. ისიც ჴელმწიფის მოღალატეთ არის შერიცხული.

ეგმნტი.

საწყალი! ერთი სიტყჳა კიდევ დ მშჳდობით.....მენტი აღარ შემიძლიან. რითიც უნდა იყოს გონება მალიან გართობილი, მაინც ბრძანება აუცილებელად თავისასა იქს, როგორათაც ემარწვილი, რომელსაც გჳელი შემორტყმია, სიამოვნებს განმაგრილებელის მილით, ეგრეთვე დაქანცული მშრომელი სიკუდილის კარების წინვარდება ღრმას მილში, თითქოსა სურსო წინათვე გამაგრება შორს მოგზაურობისათჳს.—ერთი კიდევ! მე ვიცნობ ერთს ქალს, ნუ დასძრახამ, რომ მე ის მომენდო (მომეცა), გაბარებ რა შენ იმას, მე ვკჳდები მოსვენებით, შენ კეთილშობილი კაცი ხარ, დედაკაცს, მიბარებულს შენისთანა კაცისათჳს, არაფრის შიში არა აქჳს. ცოცხალია ადოლფი? თავისუფალია?

ფერდინანდი.

ის მხიარული მოხუცი, რომელიც ცხენით თან გაჰყვა ხოლმე?

ეგმონტი.

ჰო, ისა.

ფერდინანდი.

ცოცხალია დ თავისუფალი.

ეგმონტი.

იმან იცის სადა დგას ის ქალი; ის მიგიყვანს; მაშინ ისე დასაჩუქრე ესა, რომ ეყოს თავის სიცოცხლეში, ამისათჳს რომ ის იმისთანა საუნჯესთან მიგიყვანს, მშჳდობით.

ფერდინანდი.

არ წავალ.

ეგმონტი (მალდა-მალ აგდებს კარებისაკენ) მშჳდობით!

ფერდინანდი.

ო! ჰ მე კიდევ მინდა პატარა ხანს დავჲჩე აქ!

ეგმონტი.

მეგობარო, უგამოუსალმებელის რიგებით (მიჲყვება კარებამდინ. ფერდინანდი გონება დაკარგული, ჩქარა გადის).

ეგმონტი (მარტო).

ამოსავარდნელი! შენ არ მოელოდი შვების მოცემას

ჩემთჳს შენის შჳლის გამოგზავნით! იმან შემისუბუქა ყველა ტანჯვანი, განაგდო ჩემგან ყველა მძიმე განძრაჴვანი და საშიშროებანი, რომელთაც ღელვაში მოვჰყვანდი. ეხლა მოსვენებით და დაჟინებით ითხოვს ჩემგან ბუნება უკანასკნელს ხარჯს. შეცვლა აღარ იქნება, გადაწყვეტილია! უკანასკნელს ღამეს არ შემეძლო დამეძინა იჭჳსა და უცნობობისა გამო, ეხლა კი გარდაჭრილი საცნაურობა ნანას ეუბნება ჩემთ დამშჳდებულთ გრძნობათ (წვება სკამეიკაზედ მუზიკა). ტკბილო მილო! შენ მოდიხარ უწმინდესის კეთილის მსგავსად,—მოულოდნელი, დაუმახსებელი, როდესაც ფიქრში მოგივა, შეხსნი ყველა მარყუჟებს ჩუჱნის ფიქრებისას და ურევ ერთმანერთში ყველა წარდგენაებს—მხიარულებს და ნაღვლიანობს; მთელს ჩვენს შინაგანს გარმონიას შეაერთებ და შეიყვან ერთს მრგვალში (წრეში) და მაშინ შევიმოსებით რა საჴურავით თავის დავიწყებისა, ჩვენ აღარ ვარსებობთ.......(დაემინება; მუზიკა. კედელი, რომელზედაც არის მიდგმული სკამი აიხდება და განაღებს ჩინებულს სახილავს. ციურის ელვარებით, თეთრის ტანისამოსით, მოსცურავს ღრუბელზედ თავისუფლება, ეს მიიღებს რა იერს კლარასას, ჩამოეშვება მძინარეს გმირზედ. სახის კალამნი ამ ოცნებასა გამოსთქჳამენ ნაღველს და დანანებას ეგმონტისას; მაგრამ მალე გამხიარულდებიან; სანახავი აღიმართება რა, თითით აჩვენებს თავის ატრიბუტებს—ისრების კონას, კვერთხს და შლიაპას, ის გაიმხნევებს იმას და შეაგონებს,

რომ თავისის სიკჳდილით ის გაანთავისუფლებს შტა-ტებს, რიცხამს იმას მძლეველად და ადგამს დაფნის ფოთლის გვირგვინს. როდესაც ეს ქსუბს გვირგვინით თავსა, ეგმონტს შეაქრუოლებს, როგორც მძინარეები ჩადიან ხოლმე, როდესაც გვერდს ცვლილობენ. იმან ამდროს პირის სახე უნდა იბრუნოს ღმერთასაკენ, რომელიც თავზედ დასტრიალებს. შორიდგან შემოისმის სამხედრო მუზიკის ხმა, ფლეიტისა და ბარაბანებისა, და მაშინ სახილავი განჰქრება. საპყრობილე განათლება დილის შუქითა. ეგმონტი იღვიძებს, პირველათვე ჴელს მოისომს თავზე, დგება, გარშემო იყურება და ლაპარაკობს, ჴელი თავიდგან მოუშორებელი).

გვირგვინი განჰქრა! საყურეველო სახილავო! დღის შუქმა გაგაგდო შენ! დიახ, თქჳენ იყავით აქ, თქჳენ ორივე ერთად დაუფასებელნო საყვარელნო ჩემის საყვარლისა; მშჳენიერმა ქალმა დაიხურა ციური სახურავი თავისუფლებისა.......სახილავი... გამოცხადდა ჩემსა წინ სისხლიანის ფეხებით; ტანისამოსი იყო შეღებილი სისხლით, ის იყო ჩემი სისხლი და სისხლი მრავალთ კეთილშობილთ კაცთა! არა! ის არ დაგცეულა ტყუილად: აღექით მამაცო ხალხო! ღმერთა გამმარჯვებისა — თქჳენი წინამძღოლია. როგორც ზღვის ზვირთნი იმათ დამჴერთ ზღუდეთა, ერთად დაეცით ამ თხრილს ძლავრობით აღყენებულსა და გადაავდეთ თავის ალაგიდგან!

ბარაბანების რახუნი ახლოვდება.

სუ! სუ! რა ხშირად გადუყვანივარ ამ ხმას ომის და გამმარჯვების მინდორზედ! რა სიხარულით მიჰფრინამდნენ ჩემი ამხანაგები საშიშარს, კეთილშობილურს ღვაწლზედ! ეგრეთვე მე წავალ ამ საპყრობილედგან სახელოვანს სიკუ̂დილზედ; თავისუფლებისათჳს მოვჰკუ̂დები; ვსცოცხლობდი იმისათჳს, ვომობდი იმისათჳს და ეხლა ჩემს თავსაც მიუტან იმას მსხვერპლად.

(სიღრმავე სცენისა ივსება ისპანელების სალდათებითა რომელნიც შეიარაღებულები არიან ალებარდებით). ო, მოიწიეთ წინ მწკრივად! შეჰკარით თქუ̂ჱნი რიგები, მე ვერ შემაშინებთ! მე დაჩვეული ვარ შუბით დგომას შუბის წინ და ვყოფილვარ რა შემორტყმული შიშხარით დამამუქარებელის სიკუ̂დილისა ერთი ორ-მეტად მიგვრძნია სიცოცხლის ჭარმაგი გულის ცემა.

ბარაბანების რახუნი.

მტერი გავიწროებს ყოვლის მხრით! მახვილები ლაპლაპებენ! მეგობრებო, განამრავლეთ სიმამაცე! თქუ̂ჱნკენ არიან მამანი, ცოლნი, შჳლნი (აჩვენებს მცველებზედ) ამათ კი ატრიალებს ცარიელი სიტყვები, იმათი ძალა და არა თავიანთი სიკუთარი გრძნობა. განიმაგრეთ თქუ̂ჱნი სამკვიდრებელი! და დაიხსნათ რა ისა, რომე-

ლიც ყველაზედ მეირფასია თქუჱნთჳს, დაიხოცენით მხიარულად! მე მაგალითი თქუჱნი.

(ბარაბანების ხმა, ეგმონტი გაუვლის რა ისპანელე-ბის რიგებს, გავა კარებში სიღრმავის სცენისა (სიშო-რით. ფარდა ჩამოეშვება, მუზიკა დაიწყობს და ათავებს მეომრულის სიმფონიით).

მ. ხუდადიშჳლი.

1869 წელსა.
1 დეკემბერს.
ქ. სტავრაპოლი.

# შური

ჰი შურო საძაგელო,
სვინიდისის მკარგველო,
სულისა დ~ კორცისა
საუკუნოდ მტანჯველო!

თუკი ვისმეში შეხვალ,
მძელად იმისგან გახვალ,
მანამ არ გააოხრებ
სხვასთან შენ აღარ წახვალ.

ცუდს საქმებს მოაგონებ,
სიკჳდილს არ მოაგონებ,
ბოლოს თჳალთაგან ცრემლსა,
წყაროსავით ადინებ.

სხვისი მცირე ქონება,
შენ ბევრად გეჩვენება.
გსურს რომ ყველა გაოხრდეს,
შენ გრჩეს მათი ქონება.

მადლობელი ვინა გყავს,
ყველანი ამბობენ ავს;

შენის უსჯულოებით,
უდროოდ ჩაიცმენ შავს.

ბოროტებით დაათრობ,
სვინიდისსაც გააქრობ;
შენსა მოქმედებასა
სიკუდილადმდე არ იხრობ.

ვინა გყავს მადრიელი;
არც გყავს სულით მლღერი;
მხოლოდ შენის წყალობით,
კაცი კუდება მშიერი.

ვინც რომ შენ შეგიყვარებს,
სხუას ვიღას შეიყვარებს,
მხოლოდ თავის საწყალს სულს,
ჯოჯოხეთად ამყარებს.—

ი. ქარუხა-შჳლი.

1860 წ.
5 დეკემბერს.
ახალ-ციხე.

# კეთილ-მოქმედება

ერთხელ დილით რა გამოვიღვიძე, საშინლად მამინდა ფული. რა ვქნა? საიდან მოვიტანო? ათასი თუმანი მაინც რომ მქონოდა, ჩემს ბედს კბენარიც არ დაჰყებდა. მაინც და მაინც რა ბევრსა ვფიქრობ. ცოტანი არიან ჩჳჱნს ცოდვილს კაცობრიობაში, რომ სხვის ანგარიშზედ მდიდრდებიან! ჰსჩანს, სხვის ანგარიშზედ გამდიდრებას ბევრი ჭკუა არ უნდა. აბა მოდი და, ჩჳჱნც შეუდგეთ ამ ანგარიშს, გადავსწყვიტე, მე შევიქნები კეთილის მომქმედი კაცი. ვნახოთ რა იქნება ამითი. თავ და პირველად იმისთანა სახელი უნდა დავიგდო ხალხში რომ, მითომ და, მართლად კეთილის მოქმედი ვარ, ქვრივ ოხრის შემწყნარებელი და შემწე. რასაკჳრველია ამ გვარი საქმის დაწყობა უფულოდ არ იქნება, მაგრამ რა გაეწყობა, რასაც არ დასთეს, რას მომკი, ვთქვი და, კიდეც უნდა აღვასრულო......ეს განვიზრახე თუ არა იმ დილით, ავდექი და მაშინათვე გავწიე იმისთანა გამოჩენილ კაცთან კეთილ მოქმედებაში, რომ მრთელი ეს ჩჳჱნი ქუჩა აქებდა თავის ქველის მოქმედებისათჳს.

—აი, ზამთარმა დაიწყო თავისი შეუბრალებელი მოქმედება,—დაუწყე იმ ქველის-მოქმედს საუბარი,—და მგონია ეს ზამთარი ძრიელ ფიცხელი იყოს. დრო გა-

ხლავთ ახლა, მდიდრებმა, მოიკლონ რაც იმათათჳს მომატებულია ცხოვრებისათჳს ამ კეთილის აზრით, რომ ღარიბები არ შევიდნენ შეჭირვებაში. ლუკმა პური მაინცა ჰქონდეთ საჭმელათა.

—ეგ მაღალ-კეთილშობილური გრძნობა მოგსვლია ჭკუაში, მიჰასუხა ჩუჱნმა ქველის-მომქმედმა.

—კეთილის მოქმედება ისე სასიამოვნო გახლავთ, დაუწყე კიდევ,—რომ ეს კმაყოფილება დიდად დააჯილდოებს; თქუჱნს ქუჩაში ბევრნი გახლავან ღარიბები?

—მრიელ ბევრი, და რამდენიც წელიწადი გადის, იმდენი ემატება, ჩუჱნი ღონის-ძიებაც თითქმის გამოილია.

—მაშ ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ღარიბთ ხალხთათჳს შესაწევნელად ორმოცი თუმანი, რომ მცირედიც-არი შეუმსუბუქო საწყლებს შეჭირვება.

ამ უკანასკნელ სიტყჳს თქმაზედ, ამოვიღე და მივეცი ზემო ხსენებული ფული, ვერ შევიძლიანთ წარმოიდგინოთ იმისი გაკვირვება. იმან გამოართო ფული, დაადო პირი და ტევილათა ცდილობდა გამოეთქო ის, რასაცა იმ დროს ისა გრძნობდა. დიდხანს აღტაცებით ვერ ამოიღო ხმა, ბოლოს თქუა მეტის სიამოვნებისაგან ენა არევით.

—მე მრიელ სასიამოვნოდ მიმაჩნია.....მრიელ სასიამოვნოდ მიმაჩნია, რომ ჩუჱნს ქალაქში სცხოვრებს მაგისთანა კეთილშობილი კაცი და სულგრძელი....ნება მიბოძეთ ბატონო, გიახლო თქუჱნს სახლში და მოგა-

ხსენოთ ჩემი გულითადი მადლობა, ღარიბების მაგიე-რად, რომელთაც თქუჱნ შეუშრეთ თვალებზედ ცრემლი.

—მე დიდად სასიამოვნოდ მივიღებ თქუჱნს ჩემთან მობძანებას, მაგრამ მადლობისათჳს კი ნუ შესწუხდებით. აი ჩემი ადრესი, სადაცა ვდგევარ. . .ამასთანავე გთხოვ ვედრებით არ დამივიწყოთ, როდესაც დაგჭირდეთ რამ ღარიბებისათჳს. მხოლოდ ამასა გთხოვ დარჩეს ჩუჱნ-ში საიდუმლოდ და არსად არა ბრძანოთრა, ჩემს ხუს-ტს შემოწირვაზედ.

მე ვიცოდი, რომ ამ ღონის-მიებით მრიელ სახელს გავიკეთებდი, ორ დღეში მრთელმა ქალაქმა შეიტყო, მახარეს დიდი ფული შეუწირავს ღარიბებისათჳსაო, სა-იდუმლო საქმე, მეტად მძიმე ტვირთი ყოფილა, ყველა ვერ ატარებს ამ მძიმე ტვირთსა. როგორცა ვფიქრობდი, საქმეც სწორეთ ისე გამოვიდა, ჩუჱნს ქველის მომქმედს ქუჱყანა შეეყარა, ეს ამბავი ერთის პირითგან მეორეზედ გადადიოდა და რამდენიც დღე გადიოდა, იმდენი იმ ჩემს ფულს შესაწირავი ემატებოდა, ისე რომ, რამდენიმე დღის შემდგომს, რამდენიმე ასი თუმანი იყო, კასსაში.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ერთის სიტყვით მე შევიქენი ორ კვირაში პირველი კეთილის მოქმედი კაცი მრთელს ქალაქში, სადაც ლა-პარაკობდნენ, როგორც იცით ჩუჱნი ქუჱნის ამბავი, მახარე მრიელ მდიდარი კაცი ყოფილაო, ეს ამბავები მრიელ ახარებდა ჩემ ცოლს, . . . . . . . ამისათჳს რომ ყოველ დღე ილაჯი იყო წოლებული, ხან სადა ........

ხან სადა, იმისთანა ალაგებითგან მოგვდიოდა მაწვევ-რები, სადაცა თავის დღეში ფიქრათ არ მოგვსვლია წასვლა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ამ საგანზედ ვეღარ გავაგრძელებ ლაპარაკსა, ამას მარტო მოგახსენებ რომ ამ ნაირად მეც გამოვიჩინე თავი დ საწყლების წყალობით შევიძინე საკმაო ფული!..

მახარე.

## 1870 წელსა.

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 7 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას, ხიდზედ, მირზოევის შენობაში, მარტირუზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ან თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

---

Дозволено Цензурою 15 апрѣля 1870 г.